

**Ana Zubashvili**

E-mail: [ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge](mailto:ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge)  
Master of Clinical Psychology, PhD student at  
I. Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
[orcid.org/0009-0005-7045-2859](https://orcid.org/0009-0005-7045-2859)

**Elene Chomakhidze**

E-mail: [chomakhidze.elene@gmail.com](mailto:chomakhidze.elene@gmail.com)  
Associate Professor, Sukhumi State University  
Tbilisi, Georgia  
[orcid.org/0009-0000-8196-6701](https://orcid.org/0009-0000-8196-6701)

## IGNORING OTHERS IN FAVOR OF THE PHONE: DEVELOPING A GEORGIAN VERSION OF THE “PHUBING” BEHAVIOR MEASUREMENT SCALE

**Abstract:** *The development of digital technology has brought humanity numerous benefits, but numerous studies conducted over the past three decades have shown that excessive, uncontrolled use of these technologies has led to a number of negative consequences. The widespread adoption of multifunctional mobile phones, which are always accessible and provide constant connectivity, has irreversibly changed the way people communicate and created the basis for the development of a new type of problematic behavior known as "phubbing": today, ignoring others due to distraction by a mobile phone has become an almost common occurrence in our daily lives. This behavior has attracted the attention of psychologists worldwide, and numerous studies have been conducted abroad. It has been empirically proven that phubbing negatively impacts interpersonal relationships and has a number of negative consequences. Intensive research is underway to study the perception, impact, and negative consequences of phubbing (for adults and adolescents, including parents and children, romantic couples, and relationships between bosses and subordinates), as well as the factors influencing it. However, not a single publication on this topic has been found in the Georgian literature. The aim of this study was to draw the attention of Georgian researchers to this phenomenon and to develop a Georgian version of the Chotpitayasunondh & Douglas phubbing scale. A cross-sectional study was conducted involving 662 participants, including 78% women, with an average age of  $24.2 \pm 8$  years. The factor structure of the questionnaire was tested using both exploratory and confirmatory factor analysis. It was confirmed that, like the original, the Georgian version is a valid and reliable assessment instrument with good psychometric properties. It can be used among young people for both research and psychological counseling. We hope that the availability of an appropriate measurement instrument will facilitate the study of this phenomenon in the Georgian context.*

**Keywords:** *Phubbing, a Georgian version of the Generic Scale of Phubbing (GSP), Measurement, Development, Validation*

**JEL classification:** *I31*

**ანა ზუბაშვილი**

E-mail: [ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge](mailto:ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge)

კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი,

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

თბილისი, საქართველო

[orcid.org/0009-0005-7045-2859](http://orcid.org/0009-0005-7045-2859)

**ელენე ჩომახიძე**

E-mail: [chomakhidze.elene@gmail.com](mailto:chomakhidze.elene@gmail.com)

ასოცირებული პროფესორი, სოხუმის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

[orcid.org/0009-0000-8196-6701](http://orcid.org/0009-0000-8196-6701)

## გარშემომყოფთა უგულვებლყოფა ტელეფონის სასარგებლოდ: „ფაბინგის“ ქცევის საზომი სკალის ქართული ვერსიის შემუშავება

**აბსტრაქტი.** ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას უამრავი სიკეთე მოუტანა, მაგრამ უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ტექნოლოგიების გადაჭარბებულ, არაკონტროლირებად მოხმარებას არაერთი ნეგატიური შედეგი მოჰყვება. ყოველთვის ხელმისაწვდომი და მუდმივი კავშირის უზრუნველყოფი, მრავალფუნქციური მობილური ტელეფონების ფართო გავრცელებამ შეუქცევდად შეცვალა ადამიანთა შორის ურთიერთობა და შექმნა ნიადაგი კიდევ ერთი სახის პრობლემური ქცევის განსავითარებლად, რომელსაც „ფაბინგი“ (Phubbing) ეწოდა: დღეს გარშემომყოფთა უგულვებლყოფა მობილურ ტელეფონზე ყურადღების გადატანის გამო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ლამის ჩვეულ მოვლენად იქცა. ამგვარმა ქცევამ მთელი მსოფლიოს ფსიქოლოგების ყურადღება მიიპყრო და უცხოეთში მის შესასწავლად ჩატარებულია მრავალი კვლევა. ემპირიულად დადასტურდა, რომ ფაბინგი უარყოფით გავლენას ახდენს ურთიერთობაზე და მას არაერთი ნეგატიური შედეგი მოჰყვება. მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა ფაბინგის აღქმის, გავლენის, ნეგატიური შედეგების (მოზრდილთა და მოზარდებისათვის, მათ შორის მშობლებისა და შვილების, რომანტიკული წყვილების, უფროსისა და თანამშრომლების ურთიერთობის კუთხით), პრედიქტორების შესწავლის მიმართულებით. თუმცა, სამამულო ლიტერატურაში ამ თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია არ იძებნება.

წინამდებარე კვლევის მიზანია ფაბინგის ფენომენის მიმართ ქართველ მკვლევართა ყურადღების მიპყრობა, Chotpitayasunondh & Douglas ფაბინგის სკალის (GSP) ქართული ვერსიის შექმნა და მისი ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება. ჩატარდა კროს-სექციური კვლევა 662 პირის მონაწილეობით, მათ შორის 78% ქალი, საშუალო ასაკი 24.2±8. კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა შემოწმდა როგორც კვლევითი, ისე დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით. დადასტურდა, რომ ორიგინალის მსგავსად, ქართული ვერსიაც ვალიდური და სანდო შეფასების ინსტრუმენტია, კარგი ფსიქომეტრული მაჩვენებლებით. მისი

გამოყენება ახალგაზრდებს შორის შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის. იმედს ვიტოვებთ, რომ სათანადო საზომი ინსტრუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს ამ მოვლენის შესწავლას ქართულ კონტექსტშიც.

**საკვანძო სიტყვები:** „ფაბინგი“, ფაბინგის სკალის (GSP) ქართული ვერსია, ვალიდაცია.

**JEL კლასიფიკაცია:** I31

### შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას ბევრი სიკეთე მოუტანა – ინტერნეტი უამრავი შესაძლებლობის შემქმნელი საოცარი ინფორმაციული ინსტრუმენტია. მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტექნოლოგიების გადაჭარბებულ, არაკონტროლირებად მოხმარებას მოჰყვება არაერთი ნეგატიური შედეგი – დისტრესი, ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჯანმრთელობის პრობლემები, სოციალური, პროფესიული თუ აკადემიური დარღვევები და სხვ. ყოველთვის ხელმისაწვდომი და მუდმივი კავშირის უზრუნველყოფი, მრავალფუნქციური მობილური ტელეფონების ფართო გავრცელებამ შექმნა ნიადაგი კიდევ ერთი სახის პრობლემური ქცევის განსავითარებლად, რომელსაც „ფაბინგი“ (Phubbing) ეწოდა. ტერმინი „ფაბინგი“ შედგენილი სიტყვაა („phone“ – ტელეფონი და „snubbing“ – უგულვებლყოფა), შემოტანილი Macquarie Dictionary ლექსიკონის (ავსტრალია) განახლებული ვერსიის პიარკამპანიის პროცესში 2012 წელს და აღწერს ყველასთვის კარგად ნაცნობ სურათს: ორი ან რამდენიმე ერთად მყოფი პირი ერთმანეთთან საუბრის ნაცვლად დაკავებულია ტელეფონით. ამავე წელს ამოქმედდა ვებ-საიტი (<https://www.stopphubbing.com>), რომელიც მიზნად ისახავდა ამ სოციალური პრობლემის მიმართ მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას (Pathak, 2013). სამეცნიერო ლიტერატურაში ფაბინგის სინონიმის სახით გამოყენება, თუმცა უფრო იშვიათად, სხვა ტერმინებიც – ტექნოფერენცია (“technoference”) – ტექნოლოგიის ჩარევა (ინტერფერენცია) ყოველდღიურ ცხოვრებაში (McDaniel & Coyne, 2016), „მულტი-კომუნიკაბელურობა“ (“multicommunicating”) (Seo, Kim, & David, 2015), „პარალელური“ კომუნიკაცია (Courtright & Caplan, 2020). პოპულარული პრესა ფაბინგს აღწერს, როგორც ცივილიზაციის დასასრულს, ხოლო სამეცნიერო სტატიები – როგორც „ციფრული ეპოქის ქრონიკულ დამოკიდებულებას“ (Karadağ, და სხვ., 2016, გვ. 256).

სამეცნიერო ლიტერატურა ფაბინგის სხვადასხვა განსაზღვრებას გვთავაზობს: „კომუნიკაციის პარტნიორის/პარტნიორთა მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენა – მისი/მათი იგნორირება და უპირატესობის მინიჭება ვირტუალური გარემოსთვის“ რეალურის ნაცვლად (Karadağ, და სხვ., 2015, გვ. 60); „სოციალურ გარემოში ორი ან მეტი პირის თანდასწრებით ურთიერთობა ტელეფონთან და არა მათთან“ (Chotpitayasunondh & Douglas, 2016, გვ. 304); „ქმედება, რომელიც გულისხმობს ერთი ან რამდენიმე პირის იგნორირებას სოციალური ღონისძიების დროს და მობილური ტელეფონის მოხმარებას Facebook, WhatsApp ან სოციალური ქსელების სხვა აპლიკაციის შესამოწმებლად“ (Nazir & Pişkin, 2016, გვ. 40); „მობილური ტელეფონის გამოყენების პრაქტიკა პირადი სოციალური ურთიერთქმედებისას“

(Vanden Abeele, Antheunis, & Schouten, 2016, გვ. 563); „ქმედება, როცა მობილური მოწყობილობა აიძულებს პირს გარშემომყოფთა იგნორირებას და მათთან კომუნიკაციის შეწყვეტას“ (Cizmeci, 2017, გვ. 364); „ფაბინგი“ სოციალური იზოლაციისა და პიროვნებათშორისი უგულვებელყოფის ნაირსახეობაა; გამოიყენება მობილური ტელეფონის მოხმარებით გამოწვეული სოციალური ურთიერთობის შეწყვეტის აღსანიშნავად“ (Roberts & David, 2017, გვ. 207); „ფაბინგი არის ვინმესთან რეალური საუბრისას მობილური ტელეფონის შემოწმებისა და პიროვნებათშორისი კომუნიკაციისგან გაქცევის აქტი“ (Balta, Emirtekin, Kircaburun, & Griffiths, 2020, გვ. 628); „ფაბინგი არის ორი ან მეტი პირის სოციალურ გარემოში მობილური ტელეფონის მოხმარების აქტი და ურთიერთქმედება არა გარშემომყოფ პირებთან, არამედ ტელეფონთან“ (Blanca & Bendayan, 2018, გვ. 449); „სოციალური ინტერაქციის პროცესში ვინმეს მიერ მობილური ტელეფონის გამოყენების პრაქტიკა“ (Vanden Abeele, Hendrickson, Pollmann, & Ling, 2019, გვ. 37); „ქმედება, როცა სოციალური ურთიერთქმედების პროცესში რომელიმე პირი უეცრად მზერას მობილური ტელეფონისკენ მიმართავს და მასში „იძირება“ (Aagaard, 2020, გვ. 1); „როცა ინდივიდი ფოკუსირებულია არა მის გვერდზე მყოფ პირზე, არამედ საკუთარ ტელეფონზე“ (McDaniel & Wesselmann, 2021, გვ. 2); „სხვასთან პირადი ურთიერთობისას მეტი ყურადღებას დათმობა მობილური ტელეფონისათვის“ (Çikrikci, Griffiths, & Erzen, 2022, გვ. 1); ფაბინგი შეეყვარებულის მიმართ (Pphubbing) – „რომანტიკული პარტნიორის უგულვებელყოფა მისი თანდასწრებით მობილური ტელეფონის გამოყენებით“ (Roberts & David, 2016, p. 135). ნიშანდობლივია ამ უკანასკნელი პუბლიკაციის სახელწოდება: ჩემი ცხოვრება ტელეფონისგან ყურადღების გადატანის ძირითადი ფაქტორი გახდა.

ფაბინგი შეიცავს სამ კომპონენტს: ფაბინგით დაკავებულ პირს – „ფაბერს“ (phubber), პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ფაბინგი – „ფაბი“ (phubbee) და სოციალური კონტექსტი, რომელშიც ხდება ფაბინგი (Chotpitayasunondh & Douglas, 2018). ფაბინგის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ სიტუაციასა და ნებისმიერ დროს, მათ შორის ორი ან მეტი პირის მეგობრულ თუ საქმიან შეხვედრაზე, სამსახურში, ოჯახში, სხვადასხვა სახის ღონისძიებაზე და სხვ. შესაბამისად, გამოყოფილია ფაბინგის სხვადასხვა ფორმა: ფაბინგი სოციალური ურთიერთობისას (მეგობრებთან, თანაკურსელებთან, ოჯახის წევრებთან და სხვ.) (Chotpitayasunondh & Douglas, 2018), წყვილებს შორის ურთიერთობა – „პარტნიორული ფაბინგი“ (Partner phubbing) (Roberts & David, 2016; Al-Saggaf & O'Donnell, 2019; Beukeboom & Pollmann, 2021; Frackowiak, Hilpert, & Russell, 2024), მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა (parental phubbing) (McDaniel B. T., 2019; Braune-Krickau, და სხვ., 2021; Hood, Zabatiero, Zubrick, Silva, & Straker, 2021; Frackowiak, Ochs, Wolfers, & Vanden Abeele, 2024), სამსახურეობრივი ურთიერთობა (boss phubbing) (Roberts & David, 2017; Yasin, Bashir, Vanden Abeele, & Bartels, 2020; Khan, Shahzad, & Bartels, 2022; Shahzadi, Ashraf, & Tariq, 2024).

მიუხედავად იმისა, რომ ფაბინგი შედარებით ახალი კონსტრუქტია, უცხოეთში ჩატარებულია მრავალი კვლევა. ერთ-ერთი ლიტერატურის მიმოხილვის ავტორთა თქმით, ამგვარმა ქცევამ მთელი მსოფლიოს ფსიქოლოგების ყურადღება მიიპყრო და მკვლევართა შორის ტყის ხანძრის სისწრაფით გავრცელდა (Nazir & Bulut, 2019, გვ. 820). 2025 წლის მდგომარეობით, Google Scholar-ში მხოლოდ ერთი საკვანძო სიტყვით („Phubbing Behavior“)

იძებნებოდა ცხრა ათასზე მეტი პუბლიკაცია ინგლისურ ენაზე. ამასთანავე, სისტემურმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ 2014 წლიდან ამ თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციათა რიცხვი მუდმივად იზრდება და მოსალოდნელია, რომ მკვლევართა ინტერესი ამ სფეროს მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება (Capilla Garrido, Issa, Gutiérrez, Esteban, & Delgado, 2021). ქართულ ენაზე ან ქართველი ავტორის ამ თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია არ იძებნება.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ფაზინგი უარყოფით გავლენას ახდენს პირისპირ ურთიერთობაზე – ურთიერთქმედების პროცესში ჩარევის გამო, რაც იწვევს ურთიერთობის „ტექნოფერენციას“ (McDaniel & Coyne, 2016; McDaniel & Drouin, 2019). უფრო მეტიც, Przybylski და Weinstein მიერ ჩატარებულმა ორმა ექსპერიმენტმა<sup>1</sup> აჩვენა, რომ პირისპირ საუბრისას მობილური ტელეფონის არსებობაც კი ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსაუბრეთა სიახლოვეზე, მათ შორის კავშირსა და ნდობაზე. ეს ეფექტი უფრო გამოხატულია, თუ საუბარი პიროვნულად მნიშვნელოვან თემას ეხება (Przybylski & Weinstein, 2013).

„მობილური ტელეფონის მხოლოდ არსებობის“ ჰიპოთეზა კიდევ ორმა ექსპერიმენტმა დაადასტურა. 100 დიადას დაევალა 10-წუთიანი საუბრის ჩატარება კაფეში. საუბრისას 29 წყვილმა მობილური ტელეფონი გამოიყენა. შედეგმა აჩვენა, რომ ამ დიადებს შორის ურთიერთქმედების ხარისხისა და პარტნიორის ემპათიის შეფასება უფრო დაბალი აღმოჩნდა (Misra, Cheng, Genevie, & Yuan, 2016). მაგრამ იმის გამო, რომ ამ კვლევაში ცვლადებით ექსპერიმენტული მანიპულაცია არ ჩატარებულა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის (ურთიერთქმედება იყო უფრო ცუდი ტელეფონის გამოყენების გამო თუ, პირიქით, ტელეფონის გამოყენება განაპირობა ცუდმა ურთიერთქმედებამ) დადგენა ვერ მოხერხდა. მეორე ექსპერიმენტი<sup>2</sup> მიზნად ისახავდა ორი სიტუაციის შედარებას: საუბრისას ერთ-ერთი მონაწილე დროდადრო უყურებდა მობილურ ტელეფონს (1) ან გაზეთს (2); საკონტროლო ჯგუფში მოსაუბრენი არც ტელეფონს და არც გაზეთს უყურებდნენ. შედეგმა აჩვენა, რომ პირი, რომელიც საუბრისას ტელეფონს ან გაზეთს უყურებს, შეფასდა, როგორც ნაკლებად აფილაციური (ნაკლებად თბილი, მიმნდობი, ემოციურად მნიშვნელოვანი ურთიერთობის შემქმნელი), ვიდრე ის, ვინც ტელეფონის ან გაზეთისკენ მზერას არ მიმართავდა; პირი, რომელიც საუბრისას ტელეფონს უყურებს, შეფასდა, როგორც ნაკლებად აფილაციური, ვიდრე ის, ვინც გაზეთს უყურებდა. ამავე კვლევის ფარგლებში ჩატარდა კიდევ ერთი ექსპერიმენტი, რომელშიც შედარდა მზერის პერიოდულად ტელეფონზე მიპყრობის გავლენა აფილაციაზე მეტყველებისა და მოსმენის პროცესში. შედეგმა აჩვენა, რომ ეს უფრო ხელშემშლელია მსმენელის მხრიდან (Vanden Abeele & Postma-Nilsenova, 2018). ავტორების თქმით, ეს შედეგი გასაკვირი არ არის, ვინაიდან მხედველობითი კონტაქტი გავლენას ახდენს აფილაციის განვითარებაზე ურთიერთქმედების პროცესში: მოსაუბრისკენ მიმართული მზერა ინტერესის, სიმპათიის, ყურადღების გამომხატველია, ხოლო თვალის არიდება – უყურადღებობის, ინტერესის არქონის ნიშანია. რაც შეეხება მობილურ ტელეფონს, ის არა რაიმე ობიექტია, არამედ „მომთაბარე სიახლოვის“ (იქვე, გვ. 3) უზრუნველმყოფი უნიკალური დიალოგური,

<sup>1</sup> შეუხედავი მობილური ტელეფონი იდო გვერდზე მაგიდაზე, ცდისპირების მხედველობის პირდაპირი ხედვის არის მიღმა; საკონტროლო ჯგუფში ტელეფონის ნაცვლად მაგიდაზე ნოუთბუქი იდო.

<sup>2</sup> ჩატარდა ექსპერიმენტული ვიდეო-რგოლების გამოყენებით (experimental video vignette study).



ინტერაქტიული საშუალება, „ვირტუალური სხვა“ (იქვე, გვ. 1) – მონოლოგური ხასიათის სხვა ნებისმიერი მასმედის საშუალებისგან განსხვავებით, რაც ართულებს ტელეფონის იგნორირებას ან უკანა პლანზე გადატანას. ავტორების ვარაუდით, როცა ფაბერის მოსაუბრე ამჩნევს ტელეფონისკენ მიმართულ მზერას, ეს იწვევს იმპლიციტურ ასოციაციათა ავტომატურ აქტივაციას, რის გამოც ფაბერი აღიქმება, როგორც „მყოფი ყოფნის გარეშე“ – “absent presence” (Gergen, 2002, გვ. 227), ანუ ფიზიკურად მყოფი, მაგრამ გონებრივად და ემოციურად არმყოფი. ამას, თავის მხრივ, შეიძლება მოჰყვეს ურთიერთქმედების უფრო ნეგატიური აღქმა და შეფასება (იქვე). ავტორების დასკვნით, იმის გამო, რომ ტელეფონი „ვირტუალურ სხვას“ წარმოადგენს, მისი ჭვრეტა შეიძლება იყოს უფრო საზიანო, ვიდრე რაიმე სხვა ობიექტისა.

აზრს, რომ მხედველობითი კონტაქტის არარსებობა მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ ფაბინგი ნეგატიურ განცდებს იწვევს, სხვა მკვლევარებიც იზიარებენ (Karadağ, და სხვ., 2015). Chotpitayasunondh & Douglas მხედველობით კონტაქტის წყვეტას ან მასზე უარს განიხილავენ, როგორც ფაბინგის საკვანძო თავისებურებას, რომლის გამოც ურთიერთქმედების პარტნერს სოციალური უარყოფის განცდა ეუფლება (Chotpitayasunondh & Douglas, 2018). ლონგიტუდური ორ-ტალღიანი (ერთი წლის შუალეობით) კვლევის ავტორების თქმით, ფაბინგით გამოწვეული მხედველობითი კონტაქტის შემცირება აღიქმება, როგორც ვალდებულებათა ნაკლებობა რომანტიკული პარტნიორის მხრიდან (Halpern & Katz, 2017).

თუმცა, მომდევნო პერიოდში ჩატარებული კვლევებით მობილური ტელეფონის მხოლოდ არსებობის („mere presence“) ეფექტის აღწარმოება ვერ მოხერხდა. Allred & Crowley აღმოაჩინეს, რომ ეს ეფექტი თავს იჩენდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს ახსოვდა, რომ ტელეფონი დაინახა; თუ ტელეფონი ვერ შეამჩნია, ეფექტი არ აღინიშნებოდა (Allred & Crowley, 2017). შედეგების გამეორების კიდევ ერთმა მცდელობამ აჩვენა, რომ ტელეფონის არსებობა-არარსებობა ურთიერთობისა და ემპათიის შეფასებაზე გავლენას არ ახდენდა (Crowley, Allred, & Volkmer, 2018). Caplan & Courtright შეადარეს ტელეფონის არსებობის სამი მდგომარეობა (მათ შორის ერთში ტელეფონი რეკავდა) ტელეფონის არარსებობასთან (საკონტროლო); რაიმე განსხვავება სამ ექსპერიმენტულ და საკონტროლო სიტუაციას შორის არ დადასტურდა (Caplan & Courtright, 2019). მაგრამ Linares & Sellier თქმით, ამ სამ კვლევაში Przybylski და Weinstein ექსპერიმენტის პირობები ზუსტად გამეორებული არ იყო: ერთ-ერთმა მონაწილემ იცოდა ტელეფონის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ამ ავტორებმა სცადეს Przybylski და Weinstein ექსპერიმენტის ზუსტი გამეორება. შედეგმა აჩვენა, რომ დიადების ურთიერთქმედების ჩამოყალიბების პროცესზე მობილური ტელეფონის ნეგატიური გავლენის გამეორება ვერ მოხერხდა (Linares & Sellier, 2021). მობილური ტელეფონის მხოლოდ არსებობის ეფექტი არც Courtright & Caplan მიერ ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა (ექვსი კვლევა) დაადასტურა (Courtright & Caplan, 2020). ორივე კვლევის ავტორები ამ შედეგს ხსნიან იმით, რომ 2012 წლიდან, როცა Przybylski და Weinstein ექსპერიმენტი ჩატარდა, მობილური ტელეფონი იმდენად საყოველთაო გახდა, რომ მათ უკვე ვეღარ ვამჩნევთ. მობილური ტელეფონის საყოველთაო გავრცელებას მისი გამოყენების ნორმების შეცვლა მოჰყვება. თუმცა, Courtright & Caplan მეტა-ანალიზმა (37 კვლევა) კიდევ ერთხელ გამოავლინა ურთიერთქმედებაზე მობილური ტელეფონის მოხმარების (საკუთრივ ფაბინგის) ნეგატიური გავლენა: ეფექტის ზომა  $r = -0,34$ , ხოლო სანდოობის მიხედვით შეწონილი ეფექტი  $r = -0,29$  (Courtright & Caplan,

2020, გვ. 29). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ იქნა არაერთი პოტენციური მოდერატორი (სქესი, ქვეყანა, კვლევის მეთოდი – ექსპერიმენტი გამოკითხვასა და დაკვირვებასთან შედარებით და სხვ.), გარე ფაქტორების შემარბილებელი/გამამლიერებელი გავლენა არ დადასტურდა. ასეთ გავლენას მხოლოდ ინდივიდუალური განსხვავების ამსახველი ცვლადები ახდენს. ავტორების რეკომენდაციით, მომავალი კვლევები მიმართულ უნდა იქნეს სწორედ ამგვარი ცვლადების გამოვლენისკენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ფაბინგისადმი მიდრეკილების მიხედვით ვლინდება ინდივიდუალური განსხვავება: ზოგიერთი ინდივიდი მობილურ ტელეფონს სოციალურ სიტუაციაში უფრო ხშირად იყენებს (Erzen, Odaci, & Yeniçeri, 2021).

ფაბინგის გამომწვევი მიზეზებისა და სოციალური შედეგების მიმართ ლიტერატურაში ორი განსხვავებული მიდგომა იკვეთება. პირველი განიხილავს ფაბინგს, როგორც სხვადასხვა სახის პრობლემური (დამოკიდებული) ქცევის ერთობლიობათა (ჯამის) შედეგს. ამ მოდელის თანახმად, ფაბინგს მრავალგანზომილებიანი სტრუქტურა აქვს და ის შემდეგ კომპონენტებს შეიცავს: დამოკიდებულება მობილურ ტელეფონზე, ინტერნეტზე, სოციალურ ქსელებზე, თამაშებზე (Karadağ, et al., 2015; Guazzini, Duradoni, Capelli, & Meringolo, 2019; Talan, Doğan, & Kalinkara, 2023; Jouty, Molla, & Othman, 2024; Tufan, Köksal, Griffiths, Erturgut, & Mert, 2024). ამ მოდელის ემპირიული შემოწმების ერთ-ერთმა მცდელობამ (სტუდენტთა შორის) აჩვენა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია დამოკიდებულება მობილურ ტელეფონსა და სოციალურ ქსელებზე; ინტერნეტსა და თამაშებზე დამოკიდებულების წილი შედარებით ნაკლებია (Karadağ, et al., 2015).

მეორე მიდგომის თანახმად, ფაბინგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგი, არამედ სოციალური ქცევის სრულიად ახალი ფენომენი. ფაბინგის ცალსახად განხილვა, როგორც პრობლემური (დამოკიდებული) ქცევის გამოვლინებისა, მართებული არ არის: ეს უფრო სოციალური ქცევისა და კომუნიკაციის ნორმების შეცვლის ამსახველია (Chotpitayasunondh & Douglas, 2016; Chotpitayasunondh & Douglas, 2018). ამ მიდგომის ფარგლებში შემუშავებულია ფაბინგის მიზეზების მოდელი, რომლის თანახმადაც ის ეფუძნება მობილურ ტელეფონზე დამოკიდებულებას, რომელსაც, თავის მხრივ, განაპირობებს ინტერნეტ-ადიქცია, სოციალურ ქსელებში რაიმეს გამოტოვების შიში (FoMo) და თვითკონტროლის დეფიციტი. ემპირიულმა შემოწმებამ (მონაწილეთა ასაკი 18-დან 66 წლამდე) ეს მოდელი დაადასტურა და აჩვენა, რომ ფაბინგისა და ფაბინგის გამოცდილების სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე ფაბინგი აღიქმება, როგორც თანამედროვე კომუნიკაციის ახალი ნორმა, ნორმატიული ქცევა. ავტორების ვარაუდით, ამის ახსნა შეიძლება სოციალური გაცვლის თეორიაზე დაყრდნობით: ურთიერთობა ეფუძნება ორმხრივობის (reciprocity) პრინციპს: ინდივიდი პასუხის მისთვის დადებითი ან უარყოფითი შედეგების მქონე სოციალურ ქმედებაზე („შენ – მე, მე – შენ“). სახელდობრ, მობილურ ტელეფონზე ფოკუსირებით თანამესაუბრის იგნორირებას ამ უკანასკნელის მხრიდან შეიძლება მოჰყვეს საპასუხო, იგივე სახის ქცევა, ანუ ფაბინგის ფაბინგის ხდება. არაერთჯერადი გამეორება იწვევს მანკიერ, თვითგამამლიერებელ ციკლს, რომელიც ფაბინგს ნორმად აქცევს. ავტორების ვარაუდით, ორმხრივობის პრინციპის გარდა, ფაბინგის ნორმად აღქმას ხელს უწყობს როგორც

სხვების, ისე საკუთარ ქცევაზე დაკვირვებით გამოწვეული მცდარი კონსენსუსის ეფექტი (Chotpitayasunondh & Douglas, 2016).

ჩატარებულია არაერთი კვლევა ფაზინგის გავრცელების შესასწავლად. Davey et al. კვლევამ აჩვენა, რომ ინდოეთში ახალგაზრდებს შორის (15-29 წელი) ფაზინგის სიხშირემ 49.3%-ს შეადგინა; ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორები იყო ინტერნეტის, მობილური ტელეფონის პრობლემური მოხმარება, რაიმეს გამოტოვების შიში (FoMO) და დაბალი თვითკონტროლი (Davey, და სხვ., 2018). ასევე ინდოეთში სტუდენტებს შორის ჩატარებული კვლევის თანახმად, ფაზინგის სიხშირემ 42.7%-ს შეადგინა; გამოვლინდა მნიშვნელოვანი კორელაცია მობილური ტელეფონის პრობლემური მოხმარებასა და დაბალ თვითკონტროლთან (Purwar, და სხვ., 2023). ესპანეთში 12-21 წლის ასაკობრივ კატეგორიას შორის ჩატარებული კვლევის შედეგად ფაზინგის ნიშნები დაახლოებით ნახევარს გამოუვლინდა; დადასტურდა ფაზინგის დადებითი კორელაცია ინტერნეტის პრობლემურ მოხმარებასთან და უარყოფითი – თვითშეფასებასთან (Barbed-Castrejón, Navaridas-Nalda, Mason, & Ortuño-Sierra, 2024). ახლა ხანს ჩატარებული ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის (41 პუბლიკაცია) თანახმად, ბევრ ქვეყანაში სულ მცირე 47% ფაზინგის მსხვერპლი გამხდარა (Field T., 2024).

ფაზინგის გავრცელებისა და ემპირიულად დადასტურებული ნეგატიური შედეგების გამო მნიშვნელოვანია ამ მოვლენის მიზეზების გარკვევა და, რა თქმა უნდა, ფაზინგის პრედიქტორების განსაზღვრა. კვლევა მიმდინარეობს ფაზინგის აღქმის, გავლენის, ნეგატიური შედეგების (მოზრდილთა და მოზარდებისათვის, მათ შორის მშობლებისა და შვილების, რომანტიკული წყვილების, უფროსისა და თანამშრომლების ურთიერთობის კუთხით), პრედიქტორების შესწავლის მიმართულებით. ფაზინგის ნეგატიური ეფექტების შესწავლის მიზნით ჩატარებულმა სისტემურმა მეტა-ანალიზმა, რომელშიც ჩართული იყო 83 პუბლიკაცია (საერთო შერჩევის მოცულობა – 53 916 პირი, საშუალო ასაკი – 19.68 წელი) გამოავლინა ფაზინგის კავშირი (ზომიერიდან ძლიერამდე) დეპრესიასთან, ურთიერთობით უკმაყოფილებასთან, თანამესაუბრის უგულვებლყოფასთან, ინტერნეტის, სოციალური ქსელების, მობილური ტელეფონის პრობლემურ მოხმარებასთან. ამასთანავე, მოზარდებთან ეფექტი აღმოჩნდა უფრო ძლიერი, ვიდრე მოზრდილებთან. ავტორების დასკვნით, შედეგები ადასტურებს თეორიულ მოსაზრებებს ფაზინგის ნეგატიური შედეგების შესახებ (მაგალითად, ოსტრაკიზმის მოდელი „მოთხოვნილება-მუქარას“ პრინციპით). შესაბამისად, ფაზინგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა, რომელიც გადასაწყვეტია შესაბამისი ჩარევის გზით ადამიანის ადამიანთან და ადამიანისა და ტექნოლოგიების ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად (Nuñez & Radtke, 2023).

გამოვლენილია სხვადასხვა პრედიქტორი – მაგალითად, სოციალური ქსელების (Balta, Emirtekin, Kircaburun, & Griffiths, 2020), მობილური ტელეფონის პრობლემური მოხმარება (Chotpitayasunondh & Douglas, 2018; T'ng, Ho, & Low, 2018), პიროვნული ნიშნები (Guazzini, Duradoni, Capelli, & Meringolo, 2019; Sun & Samp, 2022; Erzen, Odaci, & Yeniçeri, 2021) და სხვ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა კერძო პიროვნებათშორის ურთიერთობაში ფაზინგის ემპირიულად გამოვლენილი პრედიქტორების (ნიშნების დონეზე) შესასწავლად Arenz და Schnauber-Stockmann ჩატარებული სისტემური მეტა-ანალიზის შედეგები, რომელშიც

ჩართული იყო 79 პუბლიკაცია (საერთო შერჩევის მოცულობა – 48 251 პირი, საშუალო ასაკი – 23.57 წელი). ამ კვლევებით გამოვლენილი 43 პრედიქტორი ავტორების მიერ გაერთიანებულ იქნა ათ კატეგორიად.

პირველ კატეგორიამ გაერთიანა სამი სოციალურ-დემოგრაფიული ნიშანი: სქესი, ასაკი და განათლება. ამ სამი ნიშნიდან დადასტურდა სუსტი უარყოფითი კორელაცია მხოლოდ ასაკთან: ასაკის მატების კვალობაზე ფაზინგი მცირდება. მეორე კატეგორიაში – „პიროვნული ნიშნები“ გაერთიანდა სტაბილური შიდა ფაქტორები – „დიდი ხუთეულისა“ და „ბნელი ტრიადის“ ნიშნები (მაკიაველიზმი, ფსიქოპათია და ნარცისიზმი), აგრეთვე ემპათია. „დიდი ხუთეულის“ ხუთი ფაქტორიდან ფაზინგის კავშირი დადასტურდა ოთხთან: უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან, კეთილსინდისიერებასთან, გახსნილობასთან და დადებითი – ნეიროტიზმთან. დადასტურდა აგრეთვე სუსტი დადებითი კორელაცია „ბნელი ტრიადის“ სამივე ნიშანთან; კავშირი ემპათიასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

მესამე კატეგორიაში გაერთიანდა ფაზინგთან დაკავშირებული ნორმები და გამოცდილება: ფაზინგის (ფაზინგის განხორციელება) და ფაზის (ფაზინგის მსხვერპლი) ქცევას შორის გამოვლინდა დადებითი საშუალო ეფექტის მქონე კორელაცია ( $r=0.34$ ); დადებითი აგრეთვე კორელაცია ფაზინგის ნორმად მიღებასთან ( $r=0.29$ ). კორელაცია დადებითი მეოთხე კატეგორიაში შემავალ ნიშნებთანაც: ინტერნეტის ( $r=0.29$ ), მობილური ტელეფონის ( $r=0.31$ ) და სოციალური ქსელების ( $r=0.34$ ) ინტენსიური მოხმარება. ამასთანავე, ინტენსიური მოხმარებისგან განსხვავებით, რომელთა კორელაცია ფაზინგთან ზომიერია (საშუალო ეფექტი), პრობლემური მოხმარების შემთხვევაში კავშირი ძლიერია: ინტერნეტი –  $r=0.55$ , მობილური ტელეფონი –  $r=0.52$ , სოციალური ქსელები –  $r=0.51$ .

დადასტურდა სუსტი უარყოფითი კავშირი კეთილდღეობასთან:  $r=-0.22$ , 95%. ფაზინგის კავშირი ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებთან დადებითია, ზომიერი ეფექტით: დეპრესია ( $r=0.28$ ); შფოთვა ( $r=0.29$ ). მედეგობის (Resilience) ხუთი ნიშნიდან (თვითკონტროლი, თვითეფექტურობა, თვითშეფასება და სოციალური რესურსები) ზომიერი უარყოფითი კავშირი დადასტურდა მხოლოდ თვითკონტროლთან:  $r=-0.35$ . საკმაოდ მაღალია დადებითი კავშირი რისკ-ფაქტორების კატეგორიაში ავტორების მიერ გაერთიანებული სამი ნიშნიდან (რაიმეს გამოტოვების შიში, მოწყენილობა და მარტობა) პირველ ორთან; მარტობასთან კავშირი სუსტია (Arenz & Schnauber-Stockmann, 2023).

Arenz და Schnauber-Stockmann მიერ გამოყოფილი ათი კატეგორია შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად ტექნოლოგიების მოხმარებასთან კავშირის მიხედვით. პირველ ჯგუფში შემავალი ოთხი კატეგორია ტექნოლოგიების მოხმარებას უშუალოდ არ უკავშირდება და შეიცავს ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ამ ოთხ კატეგორიაში გაერთიანებული ნიშნების კავშირი ფაზიტან ან არ დასტურდება, ანდა უმეტესად სუსტია. გამონაკლისია შედარებით მაღალი კორელაცია ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებთან (შფოთვა და დეპრესია), რაც შეიძლება მიუთითებდეს სოციალურ სიტუაციაში მობილური ტელეფონის მოხმარების, ანუ ფაზინგის, კომპენსატორულ ხასიათზე: პირისპირ კომუნიკაციით გამოწვეული უსიამოვნო ემოციების შემსუბუქება/დაძლევა ონლაინ-კომუნიკაციით (Kardefelt-Winther, 2014; David & Roberts, 2020; Wolfers & Schneider, 2021). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მნიშვნელოვანი კორელაცია ნეიროტიზმთანაც.

ტექნოლოგიების მოხმარებასთან უშუალოდ დაკავშირებული, ანუ მეორე ჯგუფში შემავალი, ასევე ოთხი კატეგორიის პრედიქტორების კორელაცია ფაზინგთან უფრო ძლიერია. მეტა-ანალიზმა დადასტურდა ორმხრივობის (reciprocity) კონცეფცია: მობილურ ტელეფონზე ფოკუსირებით თანამესაუბრის იგნორირებას ამ უკანასკნელის მხრიდან საპასუხო, იგივე სახის ქცევა მოჰყვება, ანუ ფაზიც ფაზერი ხდება; არაერთჯერადი გამეორება იწვევს მანკიერ, თვითგამაძლიერებელ ციკლს, რომელიც ფაზინგს ნორმად აქცევს (Chotpitayasunondh & Douglas, 2016). აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მომავალში ფაზინგი კიდევ უფრო ნორმალიზებულ და გავრცელებულ მოვლენად იქცევა.

მაგრამ ყველაზე ძლიერია ფაზინგის კავშირი ციფრული ტექნოლოგიების (ინტერნეტის, სოციალური ქსელების, მობილური ტელეფონის) პრობლემურ მოხმარებასთან. Arenz & Schnauber-Stockmann აზრით, პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ ჩარევის პროგრამა უფრო ფართო მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს პრობლემური მოხმარების მთლიანობაში გადაწყვეტას. ამ აზრს არაერთი მკვლევარი იზიარებს (Karadağ, *и др.*, 2015; Guazzini, Duradoni, Capelli, & Meringolo, 2019; Kavčič, Levpušček, Zupančič, Poredoš, & Bjornsen, 2019; Huang, 2022; Jouty, Molla, & Othman, 2024).

**ფაზინგის საზომი სკალები.** ფაზინგის შესასწავლად ჩატარებულ კვლევათა უმრავლესობაში გამოყენებულია ორი სკალა: ფაზინგის სკალა – Phubbing Scale (PS) (Karadağ, *და სხვ.*, 2015) და ზოგადი ფაზინგის სკალა – Generic Scale of Phubbing (GSP) (Chotpitayasunondh & Douglas, 2018). ამ უკანასკნელი სკალის ავტორების თქმით, დღეისათვის ფაზინგის გაზომვის დადასტურებული ხერხი არ იძებნება; არსებული სკალები შემუშავდა კონკრეტული კვლევითი საკითხების გადასაწყვეტად, მათი ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმების გარეშე (იქვე). მაგალითად, ფაზინგის აღქმული სოციალური ნორმების სკალა (Perceived Social Norms of Phubbing scale – PSNP) (Chotpitayasunondh & Douglas, 2016), ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ინტერფერენციის სკალა (Technology Device Interference Scale – TDIS) (McDaniel & Coyne, 2016), რომელიც შემუშავდა იმის გასაზომად, თუ როგორც აღიქვამს ფაზერს მისი პარტნიორი. პარტნიორული ფაზინგის სკალა (Partner Phubbing Scale) შემუშავდა წყვილის ურთიერთობაზე ფაზინგის გავლენის შესასწავლად (Roberts & David, 2016). ამ სკალის საფუძველზე შემუშავდა „ბოსის“ ფაზინგის სკალა (Boss Phubbing Scale – Bphubbing measure) (Roberts & David, 2017).

Karadağ 10-პუნქტიანი სკალა (Phubbing Scale – PS) შემუშავებულ იქნა სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფების მასალის საფუძველზე. კვლევითმა ფაქტორულმა ანალიზმა (EFA) გამოავლინა ორი ფაქტორი: კომუნიკაციის დარღვევა და ტელეფონით შეპყრობა (Karadağ, *და სხვ.*, 2015). მაგრამ ცნობები სკალის კონსტრუქტის ვალიდურობაზე, კონვეგენტულ და დისკრიმინანტულ ვალიდურობაზე არ მოიპოვება. არ ჩატარებულა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) კვლევით ფაქტორულ ანალიზზე (EFA) დაფუძნებული ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად.

ფაზინგის ზოგადი სკალა – Generic Scale of Phubbing (GSP) (Chotpitayasunondh & Douglas, 2018) შემუშავდა მკაცრი სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით და მას საუკეთესო ფსიქომეტრული მახასიათებლები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ის შედარებით ახლა ხანს შემუშავდა, უკვე არსებობს GSP სკალის არაერთი ადაპტირებული ვერსია. სახელდობრ,

გამოქვეყნდა სკალის თურქული ვერსია მოზრდილების (Ergün, Göksu, & Sakız, 2019), უნივერსიტეტის სტუდენტებისა (Yam & Kumcağız, 2020) და მოზარდებისათვის (Gavcar, Buber, Balkis, & Simsek, 2023), ინდონეზიური (Isrofin, 2020), ირანული (Esfahani, Khanjani, & Bazram, 2022), გერმანული (Bebermeier & Haaß, 2023), არაბული (Bitar, Akel, Salameh, Obeid, & Hallit, 2023), ესპანური (Ruiz, Herruzo, & Alcañiz-Colomer, 2024) ვერსიები, აგრეთვე ორი შემოკლებული (12-პუნქტიანი) ჩინური (Li Y. , 2023) და თურქული (Kaya, Şata, Türk, Özok, & Yıldırım, 2024) ვერსიები. დადასტურა GSP სკალის კარგი ფსიქომეტრული მაჩვენებლები.

**კვლევის მიზანი.** როგორც ითქვა, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფაბინგის ქცევის თემაზე უამრავი პუბლიკაციაა გამოქვეყნებული, მაგრამ სამამულო ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ამ თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია არ იძებნება. წინამდებარე კვლევის მიზანია ამ ხარვეზის აღმოფხვრა – ამ ფენომენის მიმართ ქართველ მკვლევართა ყურადღების მიპყრობის გზით და სანდო საზომი ინსტრუმენტის შეთავაზება. კერძოდ, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა მკაცრი სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით შემუშავებული Chotpitayasunondh & Douglas ფაბინგის სკალის (GSP) ქართული ვერსიის შექმნასა და ახალგაზრდების შერჩევაზე მისი ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმებას, რაც გულისხმობს: 1) ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის შემოწმებას როგორც კვლევითი, ისე დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით; 2) ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასებას.

### მეთოდოლოგია

**პროცედურა და მონაწილეები.** ჩატარდა კროს-სექციური კვლევა ეგრეთ წოდებულ „მოსახერხებელ“ (convenience) შერჩევაზე, Google Forms გამოყენებით, ანონიმურობის სრული გარანტიით – მონაწილე მხოლოდ სქესსა და ასაკს უთითებდა, კვლევაში მონაწილეობაზე წინასწარი თანხმობით. ჩართვის კრიტერიუმები იყო მობილური ტელეფონის ფლობა და 35-მდე წლამდე ასაკი. ყველა კითხვაზე პასუხი სავალდებულო იყო, ამიტომ გამოტოვებულ მონაცემებს ბაზა არ შეიცავს. კვლევაში ჩართული იყო 2024 წელს შეგროვილი ორი შერჩევის მონაცემები: პირველი – 216 პირი, მათ შორის 78% ქალი, საშუალო ასაკი  $24.2 \pm 8.7$ ; მეორე – 446 პირი, მათ შორის 78% ქალი, საშუალო ასაკი  $23.5 \pm 7.9$ . საერთო ჯამში გამოკითხულ იქნა 662 პირი.

**საზომი ინსტრუმენტები.** ფაბინგის ზოგადი სკალის – Generic Scale of Phubbing (GSP) (Chotpitayasunondh & Douglas, 2018) ქართული ვერსია. სკალა 15 პუნქტისაგან შედგება და ზომავს ფაბინგის ქცევას სოციალური ურთიერთქმედების პროცესში. ესაა ლაიკერტის ტიპის 7-საფეხურიანი სკალა, სადაც „1“ შეესაბამება პასუხს „თითქმის არასდროს“, ხოლო „7“ ნიშნავს „თითქმის ყოველთვის“. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით უფრო გამოხატულია ფაბინგის ქცევა. ორიგინალი შემუშავდა 18-65 წლის 934 პირისგან (მათ შორის 55% ქალი) შემდგარ შერჩევაზე. აღსანიშნავია, რომ მონაწილეები შერჩეულ იქნა ჩრდილო ამერიკის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან. GSP შეიცავს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ განზომილებას (ფაქტორს). პირველი ფაქტორი – „ნომოფობია“ (4 პუნქტი) ზომავს მობილური ტელეფონის გარეშე დარჩენის შიშს. მეორე, ასევე 4-პუნქტიანი, ფაქტორი – „პიროვნებათშორისი კონფლიქტი“ – სხვებთან აღქმულ კონფლიქტს ეხება. მესამე განზომილება (ოთხი პუნქტი), რომელსაც ავტორებმა „თვითიზოლაცია“ დაარქვეს, ასახავს



ტელეფონის მოხმარებას რეალობისაგან გაქცევისა და სხვებისგან იზოლაციის მიზნით. დაბოლოს, 3-პუნქტიანი მეოთხე ფაქტორი – „პრობლემის აღიარება“ ფაზინგის პრობლემის აღიარებას უკავშირდება. გათვალისწინებულია სკალის საერთო მაჩვენებლის გამოთვლა.

**სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარების** პრობლემური მოხმარების სკალის (GPIUS2) **ქართული ვერსია** (ზუბაშვილი, 2022; ზუბაშვილი, აბაშიძე, & ჟვანია, 2024), რომელიც ოთხ სკალას შეიცავს: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება, გუნების რეგულირება, არასაკმარისი თვითრეგულაცია და ნეგატიური შედეგები.

**„რაიმეს გამოტოვების შიშის“ (fear of missing out – FoMO) კითხვარის ON-FoMO** (Sette, Lima, & Queluz, 2020) ქართული ვერსია, ადაპტირებული ავტორების მიერ (არ გამოქვეყნებულა). კითხვარი 20 პუნქტს შეიცავს, რომლებიც ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორს ზომავს: შფოთვა, კუთვნილებისა და პოპულარობის მოთხოვნილება, დამოკიდებულება. ესაა ლაიკერტის ტიპის 4-საფეხურიანი სკალა, სადაც „1“ შეესაბამება პასუხს „ჩემთვის დამახასიათებელი არ არის“, ხოლო „4“ – „ჩემთვის დამახასიათებელია“. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია რიცხვითი მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია FoMO-ს მაჩვენებელი.

**Diener ცხოვრებით კმაყოფილების ტესტის (SWLS) ქართული ვერსია** (Diener, Emmons, Larsen, & Griffin, 1985). ტესტი 5 პუნქტს შეიცავს; ესაა ლაიკერტის ტიპის 7-საფეხურიანი სკალა, სადაც „1“ შეესაბამება პასუხს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო „7“ – „სრულიად ვეთანხმები“, ანუ რაც უფრო მაღალია ჯამური ქულა, მით უფრო მაღალია მაჩვენებელი.

**შემოკლებული სიმპტომატური კითხვარის Brief Symptom Inventory – BSI-53** (Derogatis & Melisaratos, 1983) ქართული ვერსია (ჩომახიძე, კოპალიანი, & ზუბაშვილი, 2023). სიმპტომატური კითხვარი შემუშავდა ფსიქოლოგიური დისტრესისა და მისი სპეციფიკური პირველადი სიმპტომების შესაფასებლად. ტესტი 53 პუნქტს შეიცავს; ესაა ლაიკერტის ტიპის 5-საფეხურიანი სკალა, სადაც „0“ შეესაბამება პასუხს „საერთოდ არა“, ხოლო „4“ – „ძალიან ძლიერად“. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია მაჩვენებელი.

**სტატისტიკური ანალიზი.** აღწერითი სტატისტიკის მონაცემების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის პროგრამათა პაკეტი SPSS-27. განაწილება შეფასდა კოლმოგოროვ-სმირნოვისა და შაპირო-უილკის კრიტერიუმებით, აგრეთვე განაწილების მახასიათებლებით (ასიმეტრია და ექსცესი). მრავალგანზომილებიანი ნორმალურობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა Mardia’s ტესტი. კორელაცია გამოთვლილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით. ფაქტორული სტრუქტურა შემოწმდა როგორც კვლევითი, ისე კონფირმატორული ფაქტორული ანალიზით – SPSS მოდულის – AMOS-26-ის, აგრეთვე პროგრამა JASP გამოყენებით. შიდა სანდოობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრომბაჰის ალფა და მაკდონალდის ომეგა. შიდა კონვერგენტული ვალიდურობის შესამოწმებლად გამოთვლილ იქნა ამოღებული საშუალო დისპერსია (AVE). შიდა დისკრიმინანტული ვალიდურობა შეფასდა AVE-დან კვადრატული ფესვის სიდიდის შედარებით შესაბამისი ფაქტორის სხვა ფაქტორებთან კორელაციის კოეფიციენტთან შედარების საფუძველზე.

### **კვლევის შედეგები**

#### **კითხვარის თარგმა და დისკრიმინანტულობის შემოწმება**

პირველ ეტაპზე გაკეთდა ტესტის პირველადი თარგმანის სამი დამოუკიდებელი ვერსია, რომელიც შემდეგ შეჯერდა. შეჯერებული ვერსიის შემოწმებაში, რაც გულისხმობდა თარგმანის შედარებას ორიგინალთან, ახალ პირობებში ლექსიკის ადეკვატურად (არასასურველი კონოტატიური მნიშვნელობა, სოციალურ-კულტურული განსხვავებების ლინგვისტური გამოვლინება და სხვა) (Kline, 2015) გამოყენების შეფასებას, დაგვეხმარა გარე ექსპერტი.

დისკრიმინანტულობის შესამოწმებლად, რაც გულისხმობს ტესტის ქულის მიხედვით ცდისპირთა დიფერენცირების შესაძლებლობას, ჩატარდა საცდელი გამოკითხვა 30 პირის მონაწილეობით. გამოთვლილ იქნა სირთულის (ეფექტურობის) ინდექსი: თუ ცდისპირთა 80%-ზე მეტი ტესტის ამა თუ იმ პუნქტზე ერთნაირ პასუხს ირჩევს, ეს პუნქტი დისკრიმინანტულად ვერ ჩაითვლება (Kline, 2015). მონაცემების დამუშავებამ აჩვენა, რომ დისკრიმინანტულობის ზღვარი დარღვეული არ იყო. ეს დისკრიმინანტულობის კოეფიციენტი (კორელაციის კოეფიციენტი ტესტის თითოეულ პუნქტზე პასუხსა და ტესტის ჯამურ ქულას შორის) დაადასტურა.

### **კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება კვლევითი ფაქტორული ანალიზით**

კონსტრუქტის ფაქტორული სტრუქტურის შესასწავლად გამოიყენება როგორც კვლევითი (EFA), ისე დამადასტურებელი (CFA) ფაქტორული ანალიზი. პირველის მიზანია სავარაუდო ფაქტორული სტრუქტურის დადგენა, რომელიც შემდეგ მოწმდება დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით. ამასთანავე, ამ ორი ტიპის ანალიზის ჩატარება რეკომენდებულია სხვადასხვა შერჩევაზე (Kline, 2016; Byrne, 2013; Izquierdo, Olea, & Abad, 2014). კვლევითი ფაქტორული ანალიზი ჩატარდა პირველ შერჩევაზე (216 პირი). ამ შერჩევის სიმძლავრე საკმარისია EFA ჩასატარებლად: პრედიქტორების რიცხვისა და შერჩევის მოცულობის თანაფარდობა 14:1 შეადგენს<sup>3</sup> (Kline, 2016). ფაქტორული ანალიზის ჩატარებამდე შემოწმდა განაწილება. როგორც ტესტის ყველა პუნქტის, ისე ჯამური მაჩვენებლის შემთხვევაში კოლმოგოროვ-სმირნოვისა და შაპირო-უილკის ტესტებით განაწილება ნორმალური არ არის ( $p < 0.05$ ). მაგრამ ასევე ყველა პუნქტისათვის ასიმეტრიისა და ექსცესის მაჩვენებლები 1-ზე ნაკლებია, რაც მიუთითებს, რომ ერთ-განზომილებიანი ნორმალური განაწილების პირობა სრულდება (George & Mallery, 2016). მრავალგანზომილებიანი ნორმალურობის შესამოწმებლად გამოყენებულმა Mardia's ტესტმა აჩვენა, რომ ეს პირობა დარღვეულია. ექსტრემალური შემთხვევების გამოსავლენად გამოთვლილ იქნა ჯამური (საერთო) მაჩვენებლის სტანდარტული მაჩვენებელი  $z$ : მაჩვენებელი ექსტრემალურია, თუ მისი მნიშვნელობა  $\pm 3,29$ -ს აღემატებოდა (Field, 2013). ასეთი შემთხვევა აღმოჩენილ არ იქნა. შესაბამისად, შერჩევის საბოლოო მოცულობა უცვლელი დარჩა.

ფაქტორული ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა SPSS-27, აგრეთვე პროგრამა Jasp. ფაქტორული ანალიზის ჩატარებამდე გამოთვლილ იქნა კორელაცია (კენდალის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით) სკალის პუნქტებს შორის. ფაქტორული ანალიზის ჩატარების მართებულობა შემოწმდა Bartlett ტესტით, აგრეთვე შერჩევის ადეკვატურობის საზომით (KMO): Bartlett ტესტის შედეგი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $p = 0.000$ ), ხოლო


<sup>3</sup> მინიმალური თანაფარდობა 5:1 შეადგენს.




ყველა პუნქტისათვის KMO-ს მაჩვენებელი 0.5-ზე მაღალია, რაც ადასტურებს ფაქტორული ანალიზის ჩატარების კორექტულობას.

პირველ ეტაპზე EFA ჩატარდა მთავარი კომპონენტების ანალიზით (PCA), რომელიც გამოიყენება სავარაუდო კომპონენტების რიცხვის დასადგენად. ფაქტორების რიცხვის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა 1-ზე მაღალი საკუთარი მნიშვნელობის წესი. ტესტის ფაქტორებს შორის სავარაუდო კორელაციის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ირიბკუთხა ბრუნვის მეთოდი (promax). გამოიკვეთა ოთხი კომპონენტი 1-ზე მაღალი საკუთარი მნიშვნელობით (სურ. 1). ახსნილი დისპერსიის წილმა 76.16% შეადგინა. ყველა პუნქტის ფაქტორული დატვირთვა 04-ზე მაღალია (Field A. , 2013).

მეორე ეტაპზე ჩატარდა ზოგადი ფაქტორული ანალიზი. ორიგინალის მსგავსად, გამოყენებულ იქნა მთავარი ღერძის ფაქტორიზაციის მეთოდი (principal axis factoring method), ირიბკუთხა ბრუნვის მეთოდით promax. შედეგი აღმოჩნდა თითქმის ისეთივე, როგორც მთავარი კომპონენტების ანალიზისას; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მე-2 და მე-3 ფაქტორების ადგილები შეიცვალა (იხ. სურ. 2). ფაქტორული ანალიზით მიღებული 4-ფაქტორიანი მოდელის შესატყვისობის მაჩვენებლები ასახულია პირველ ცხრილში.



სურ. 1. მთავარი კომპონენტების ანალიზი (PCA): GSP სკალის სტრუქტურა



ნახ. 2. ფაქტორული ანალიზი (EFA):  
GSP სკალის სტრუქტურა

ცხრილი 1. GSP სკალა: კვლევითი ფაქტორული ანალიზი (EFA) – ვარგისიანობის მაჩვენებლები

მოდელი	$\chi^2$ -ტესტი	CMIN/DF	RMSEA	RMSEA 90% confidence	SRMR	TLI	CFI	BIC
4 ფაქტორი	$\chi^2=101.7$ ; $p<.001$	1.99	0.055	0.044 - 0.68	0.015	0.951	0.976	-130.558

**შენიშვნა:** CMIN/DF –  $\chi^2$ -ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; SRMR – სტანდარტიზებული ნაშთის საშუალო მაჩვენებელი; TLI – ტაკერ-ლიუსის ინდექსი; CFI – მოდელის შეთანხმებულობის ინდექსი; BIC – ბაისის ინფორმაციული კრიტერიუმი.

როგორც ვხედავთ, 4-ფაქტორიანი მოდელის მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელია. მართალია,  $\chi^2$ -ტესტით შესამოწმებელი ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ემპირიული მოდელი არ განხვავდება პოპულაციურისგან, უარყოფილია ( $p < 0.05$ ), მაგრამ CMIN/DF კრიტერიუმით მას აქვს კარგი შესატყვისობა (კარგი მნიშვნელობა  $\leq 2$ ; დამაკმაყოფილებელი  $\leq 3$ ). RMSEA-ს მიხედვით მორგება დამაკმაყოფილებელია (კარგი მნიშვნელობა  $\leq 0,05$ ; დამაკმაყოფილებელი  $\leq 0,08$ ). საშუალო კვადრატული შეცდომის სტანდარტიზებული ნაშთის (SRMR) სიდიდე საკმაოდ დაბალია (რაც უფრო ნაკლებია, მით უკეთესია მოდელი). ანალოგიურია შედეგი კიდევ სამი ინდექსით – TLI და CFI (კარგი მნიშვნელობა  $\leq 0.95$ ; დამაკმაყოფილებელი  $\leq 0.90$ ), BIC (რაც უფრო ნაკლებია, მით უკეთესია). სამწუხაროდ, ორიგინალის შესატყვისობის მაჩვენებლები სტატიაში ასახული არ არის.

როგორც ითქვა, ოთხივე ფაქტორის სტრუქტურა (ჰუნქტების მიხედვით) მთლიანად ემთხვევა ორიგინალს, თუმცა ფაქტორების „წონა“ განსხვავებულია. ორიგინალის შემთხვევაში პირველი ფაქტორია „ნომოფობია“ (ახსნილი დისპერსიის წილი 52.6%), რომელიც ქართული ვერსიის შემთხვევაში მესამე ფაქტორს ქმნის (ახსნილი დისპერსიის წილი 4.5%). ქართულ ვერსიაში პირველი (მთავარი) ფაქტორია „თვითიზოლაცია“ (დისპერსიის წილი 46.6%), რომელიც ორიგინალის შემთხვევაში მესამე ფაქტორია (დისპერსიის წილი 3.8%). თვალსაჩინოებისათვის შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით (ცხრ. 2).

**ცხრილი 2. GSP სკალის ფაქტორული სტრუქტურა**


ფაქტორი	ტესტის ორიგინალი	ქართული ვერსია
I ფაქტორი	ნომოფობია (52.6%)	თვითიზოლაცია (46.6%)
II ფაქტორი	ინტერპერსონალური კონფლიქტი (5.8%)	ინტერპერსონალური კონფლიქტი (12.5%)
III ფაქტორი	თვითიზოლაცია (3.8%)	ნომოფობია (4.5%)
IV ფაქტორი	პრობლემის აღიარება (3.6%)	პრობლემის აღიარება (4.1%)

შენიშვნა: ფრჩხილში მითითებულია ახსნილი დისპერსიის წილი.


**კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით** დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით (CFA) შემოწმდა ორი მოდელი: მოდელი პირველი რიგის ოთხი ფაქტორით და 4-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით (საერთო მაჩვენებელი).

**მოდელი პირველი რიგის ოთხი ფაქტორით.** დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (CFA) ჩატარდა მეორე შერჩევაზე (446 პირი). ამ შერჩევის სიმძლავრე 30:1 შეადგენს, ანუ დაწესებულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება (Kline, 2016). იმის გამო, რომ მრავალგანზომილებიანი ნორმალური განაწილების პირობა არ სრულდებოდა (კრიტიკული თანაფარდობის ინდექსი C.R.=28.873, ანუ 5-ზე მეტია), მოდელის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ML მეთოდი (maximum likelihood) „ბუტსტრეპის“ (bootstrap) პროცედურასთან ერთად (1000





სურ. 3. GSP სკალა: დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (პირველი რიგის ფაქტორები)



სურ. 4. GSP სკალა: დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი მეორე რიგის ფაქტორით

**სრული მოდელი: 4-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით.** როგორც ითქვა, ტესტით გათვალისწინებულია საერთო მაჩვენებლის გამოთვლა, რომელიც გამოხატავს ფაბინგის ინტენსიურობას. საერთო მაჩვენებელი მეორე რიგის ფაქტორია. შესაბამისად, ანალიზის ამ ეტაპზე შემოწმდა მეორე რიგის კონფირმატორული მოდელი (მოდელი B). ისევ გამოყენებულ იქნა ML bootstrap მეთოდი (1000 შერჩევა). მოდელის მორგების მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-4 ცხრილში, ხოლო მოდიფიცირებული მოდელი – მე-4 სურათებზე.

**ცხრილი 4. სკალა GSP: დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი – სრული მოდელი**

მოდელი	$\chi^2$ -ტესტი	CMIN/DF	RMSEA	RMSEA 90% CI	GFI	TLI	CFI
მოდელი B	$\chi^2=135.8$ ; $p<.001$	1.99	0.047	0.036 - 0.059	0.96	0.98	0.99
ორიგინალი	$\chi^2=184.4$ ; $p<.001$	2.20	0.06	–	0.93	–	0.97

**შენიშვნა:** CMIN/DF –  $\chi^2$ -ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; GFI – ვარგისიანობის ინდექსი; CFI – შედარებითი შეთანხმებულობის ინდექსი; TLI – ტაკერ-ლიუისის ინდექსი.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, 4-ფაქტორიან მოდელს მეორე რიგის ფაქტორით (საერთო მაჩვენებელი) ასევე კარგი ვარგისიანობის მაჩვენებლები აქვს.  $\chi^2$ -ტესტისათვის სანდოობა

$p < 0.05$ , მაგრამ, როგორც ითქვა, ეს მოთხოვნა დიდი მოცულობის შერჩევის შემთხვევაში იშვიათად სრულდება. სწორედ ამის გამო შემუშავებულია უფრო პრაგმატული მიდგომა – CMIN/DF ინდექსი –  $\chi^2$ -ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან, რომლის 2-ზე ნაკლები მნიშვნელობა მოდელის საუკეთესო შესაბამისობაზე მიუთითებს (Byrne, 2013). მეორე რიგის მოდელისათვის CMIN/DF=1.99, ორიგინალის შემთხვევაში კი ის 2.20-ის ტოლია. აღსანიშნავია, რომ ქართული ვერსიის შესატყვისობის მაჩვენებლები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უკეთესია, ვიდრე ორიგინალისა.

სრული მოდელის თანახმად, ყველაზე მაღალია მე-3 ფაქტორის, „თვითიზოლაციის“, წილი (0.91); მეორე ადგილზეა „ინტერპერსონალური კონფლიქტი“, რომლის წილი 0.89-ს შეადგენს. დაახლოებით ასეთივე პრობლემის აღიარების წილი – 0.85, ხოლო ნომოფობიის წილი ყველაზე დაბალია – 0.56. აღსანიშნავია, რომ მსგავსია ორიგინალური სკალის სრული მოდელის მაჩვენებლები: ყველაზე მაღალია „თვითიზოლაციისა“ და (0.90) და პრობლემის აღიარების (0.90) წილი; „ინტერპერსონალური კონფლიქტის“ წილი 0.88-ს შეადგენს, ხოლო ნომოფობიისა – 0.79 (Chotpitayasunondh & Douglas, 2018, გვ. 22).

მიღებული შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 4-ფაქტორიან მოდელს მეორე რიგის ფაქტორით (საერთო მაჩვენებელი) მაღალი შესატყვისობის მაჩვენებლები აქვს. მაშასადამე, დადასტურდა კითხვარის GSP სკალის კონსტრუქტის ვალიდურობა.

#### **სანდოობის, შიდა კონვერგენტული და დისკრიმინანტური ვალიდურობის შეფასება**

სკალის ფსიქომეტრული მაჩვენებლები შეფასდა გაერთიანებულ შერჩევაზე (662 პირი). შიდა სანდოობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრომბაჰის ალფა, აგრეთვე შემადგენელი სანდოობის კრიტერიუმი (CR), იგივე მაკდონალდის ომეგა, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, არ მოითხოვს ეკვივალენტურ ფაქტორულ დატვირთვას და, შესაბამისად, მიჩნეულია სანდოობის განსაზღვრის უფრო შესაფერის ზომად SEM-ზე დაფუძნებული ანალიზისათვის (Kline, 2016). კრომბაჰის ალფას მსგავსად, სასურველია, რომ შემადგენელი სანდოობის მაჩვენებელი 0.7-ზე მაღალი იყოს.

ტესტის სანდოობის, როგორც შედეგების აღწარმოების, მდგრადობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა გუტმანის კოეფიციენტი (Guttman Split-Half Coefficient). შიდა კონვერგენტული და დისკრიმინანტული ვალიდურობის განსასაზღვრელად გამოყენებულ იქნა Fornell & Larcker მიდგომა (Fornell & Larcker, 1981). ამ მიდგომის თანახმად, თუ სკალაში შემავალი პუნქტები შეთანხმებულია, მაშინ შეცდომის დისპერსია მცირე უნდა იყოს, ანუ მაჩვენებლების ცვალებადობა აიხსნება არა გაზომვის შეცდომით, არამედ სწორედ ფაქტორით. შესაბამისად, ითვლება ამოღებული საშუალო დისპერსია (Average variance extracted – AVE) სკალაში შემავალი ყველა პუნქტის მიხედვით. ამ მაჩვენებლის საფუძველზე განისაზღვრება **შიდა კონვერგენტული ვალიდურობა**: თუ AVE 0.5-ზე მაღალია, სკალას ადეკვატური კონვერგენტული ვალიდურობა აქვს. ეს ნიშნავს, რომ კონვერგენტული ვალიდურობა დასაბუთებულია მხოლოდ მაშინ, როცა საერთო ნარჩენი დისპერსია არ აღემატება ფაქტორის მიერ ახსნილ დისპერსიას.

**შიდა დისკრიმინანტული ვალიდურობა** განისაზღვრება AVE-დან კვადრატული ფესვის სიდიდის შედარებით შესაბამისი ფაქტორის სხვა ფაქტორებთან კორელაციის

კოეფიციენტთან შედარების საფუძველზე. კვადრატული ფესვი AVE-დან უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ამ სკალის კორელაცია ტესტის დანარჩენ სკალებთან.

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ოთხივე ქვესკალის შემთხვევაში როგორც კრომბაჰის აღფა, ისე მაკდონალდის ომეგა, 0.7-ს აღემატება, რაც მიუთითებს როგორც ტესტის მთლიანად (საერთო მაჩვენებელი), ისე ოთხი სკალის მაღალ სანდოობაზე. ამავე ცხრილში წარმოდგენილია ორიგინალის შესაბამისი მაჩვენებლები, რომლებიც ემთხვევა, ფაქტობრივად, ქართულ შერჩევაზე მიღებულ მაჩვენებლებს.

**ცხრილი 5. სკალა GSP: შიდა კონვერგენტული ვალიდურობა და შიდა სანდოობა**

სკალა	კრომბაჰის $\alpha$		მაკდონალდის $\omega$ (CR)		გუტმანის კოეფიციენტი	AVE	
	ქართული	ორიგინალი	ქართული	ორიგინალი		ქართული	ორიგინალი
NP	0.87	0.84	0.87	0.85	0.84	0.63	0.59
IC	0.88	0.87	0.88	0.90	0.83	0.64	0.69
SI	0.90	0.83	0.90	0.92	0.76	0.70	0.74
PA	0.83	0.82	0.84	0.86	0.80	0.63	0.68
საერთო	0.92	-	0.92	-	0.86		

**შენიშვნა:** NP – ნომოფობია; IC – ინტერპერსონალური კონფლიქტი; SI – თვითიზოლაცია; PA – პრობლემის აღიარება; AVE – ამოღებული საშუალო დისპერსია.

**ცხრილი 6. სკალა GSP: დისკრიმინანტული ვალიდურობა**

სკალა	კორელაცია სკალებს შორის			
	NP	IC	SI	PA
NP	<b>0.794</b>			
IC	0.405	<b>0.798</b>		
SI	0.391	0.712	<b>0.838</b>	
PA	0.577	0.603	0.612	<b>0.794</b>

**შენიშვნა:** NP – ნომოფობია; IC – ინტერპერსონალური კონფლიქტი; SI – თვითიზოლაცია; PA – პრობლემის აღიარება.

მე-6 ცხრილში მუქი დახრილი შრიფტით (კორელაციის კოეფიციენტების ზემოთ) მითითებულია AVE-დან კვადრატული ფესვის მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ვხედავთ, უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტები.

**გარე კონვერგენტული და დისკრიმინანტული ვალიდურობის შეფასება**

ტესტის ავტორების, Chotpitayasunondh ი და Douglas, მიერ შეთავაზებული ფაბინგის მოდელის (Chotpitayasunondh & Douglas, 2016) თანახმად, ისეთი კონსტრუქტები, როგორცაა ინტერნეტის, სოციალური ქსელების, მობილური ტელეფონის პრობლემური მოხმარება,

აგრეთვე რაიმეს გამოტოვების შიში (FoMO) მჭიდროდ უკავშირდება ფაზინგს სოციალური ურთიერთქმედებისას. შესაბამისად, გარე კონვერგენტული ვალიდურობის შესამოწმებლად მათ გამოიყენეს Karadağ ფაზინგის ტესტი (PS) (Karadağ, და სხვ., 2016), Przybylski FoMO ტესტი, მობილურ ტელეფონებზე დამოკიდებულების ტესტი (SAS-SV), ინტერნეტ-დამოკიდებულების ტესტი (IAT). ქართული ვერსიის გარე კონვერგენტული ვალიდურობის შესაფასებლად შემოვიფარგლეთ არსებული ადაპტირებული ტესტებით.

ფაზინგსა და სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებას შორის კავშირის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა Caplan-ის პრობლემური მოხმარების სკალის (GPIUS2) ქართული ვერსია (ზუზაშვილი, აბაშიძე, & ჟვანია, 2024), რომელიც ოთხ სკალას შეიცავს: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება, გუნების რეგულირება, არასაკმარისი თვითრეგულაცია და ნეგატიური შედეგები. კორელაცია გამოთვლილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით (ცხრ. 7). როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს, ყველა შემთხვევაში კორელაცია დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მსგავსი შედეგია მიღებული ტესტის ავტორების მიერ. იმის გამო, რომ ტესტის ავტორების მიერ გამოყენებულ იქნა სხვა ტესტი, შედეგებს უშუალოდ ვერ შევადარებთ. კორელაცია სოციალური მედიის პრობლემური მოხმარებისა და ფაზინგის საერთო მაჩვენებელს შორის ძალიან მაღალია –  $r=0.704$ . როგორც ცნობილია, 0.7-ზე მაღალი კორელაციის კოეფიციენტი მიუთითებს, რომ ორი ცვლადი მსგავს კონსტრუქტს ზომავს (Kline R. B., 2016).

**ცხრილი 7. კორელაცია სოციალური მედიის პრობლემური მოხმარებისა და ფაზინგის განზომილებებს შორის**

	ნომოფობია	ინტერპერსონალური კონფლიქტი	თვითიზოლაცია	პრობლემის აღიარება	ფაზინგი
ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება	.233**	.418**	.516**	.329**	.460**
გუნების რეგულირება	.502**	.380**	.412**	.520**	.557**
არასაკმარისი თვითრეგულაცია	.565**	.480**	.457**	.656**	.660**
ნეგატიური შედეგები	.288**	.479**	.372**	.538**	.506**
პრობლემური მოხმარება	.537**	.552**	.544**	.670**	.704**

შენიშვნა: \*\*  $p < 0.001$ .

ფაზინგსა და FoMO შორის კავშირის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კითხვარი ON-FoMO (Sette, Lima, & Queluz, 2020), რომელიც ოთხ სკალას შეიცავს: შფოთვა, კუთვნილების მოთხოვნილება, პოპულარობის მოთხოვნილება და დამოკიდებულება. კორელაცია გამოთვლილია პირსონის კორელაციის კოეფიციენტით (ცხრ. 8). როგორც ვხედავთ, კორელაცია ამ შემთხვევაშიც ძალიან მაღალია.

**ცხრილი 8. კორელაცია FoMO-სა და ფაზინგის განზომილებებს შორის**

	ნომოფობია	ინტერპერსონალური კონფლიქტი	თვითიზოლაცია	პრობლემის აღიარება	ფაზინგი
შფოთვა	.612**	.538**	.490**	.554**	.677**
კუთვნილება	.355**	.527**	.484**	.488*	.567**
დამოკიდებულება	.440**	.720**	.651**	.673**	.506**
პოპულარობა	.437**	.471**	.468**	.473**	.569**

FoMO	.554**	.670**	.621**	.651**	.766**
------	--------	--------	--------	--------	--------

შენიშვნა: \*\* p<0.001.

ამრიგად, ტესტის გარე კონვერგენტული ვალიდურობა დადასტურებულია.

ტესტის გარე დისკრიმინანტული ვალიდურობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა Diener ცხოვრებით კმაყოფილების ტესტი. ცხოვრებით კმაყოფილება ავტორის მიერ განისაზღვრა, როგორც რეალურ ცხოვრებასთან საკუთარი მოლოდინების შედარების შედეგი (კოგნიტური შეფასება) (Diener, Emmons, Larsen, & Griffin, 1985). შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ კორელაცია ფაზინგსა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის არ დადასტურდება. კორელაციის გამოთვლილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით (ცხრ. 9). როგორც ვხედავთ, ვარაუდი გამართლა: კორელაცია როგორც ფაზინგის საერთო მაჩვენებელთან, ისე ტესტის ცალკეულ კომპონენტებთან არ გამოვლინდა. მართალია, კორელაცია ნომოფობიის სკალასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ შერჩევის დიდი მოცულობის გამო; ის ძალიან სუსტია – 0.1-ზე ნაკლები. მაშასადამე, ტესტის გარე დისკრიმინანტული ვალიდურობაც დადასტურებულია.

**ცხრილი 9. კორელაცია ფაზინგისა და Diener ცხოვრებით კმაყოფილების ტესტებს შორის**

	ნომოფობია	ინტერპერსონალური კონფლიქტი	თვითიზოლაცია	პრობლემის აღიარება	ფაზინგი
ცხოვრებით კმაყოფილება	.093*	.047	-.010	.019	.049
	.049	.320	.838	.694	.305

შენიშვნა: \* p<0.01.

**ფაზინგი და ფსიქოლოგიური დისტრესი**

როგორც ზემოთ ითქვა, არაერთმა კვლევამ გამოავლინა ფაზინგის საკმაოდ მაღალი დადებითი კორელაცია ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებთან (შფოთვა, დეპრესია და სხვ.). ორიგინალი ავტორებს ეს კავშირი არ შეუმოწმებიათ, თუმცა აღნიშნავენ, რომ საჭიროა ამ საკითხის შესწავლა (Chotpitayasunondh & Douglas, 2018, გვ. 39). კორელაცია გამოთვლილ იქნა გაერთიანებულ შერჩევაზე (662 პირი). შედეგმა აჩვენა, რომ გამოვლინდა საკმაოდ მაღალი კორელაცია ფაზინგსა და შემოკლებული სიმპტომატური კითხვარით (BSI-53) გაზომილი ფსიქოლოგიური დისტრესის ყველა პირველად სიმპტომებს შორის (იხ. ცხრ. 10).

**ცხრილი 10. კორელაცია ფაზინგსა და ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებს შორის**

	ნომოფობია	ინტერპერსონალური კონფლიქტი	თვითიზოლაცია	პრობლემის აღიარება	ფაზინგი
სომატიზაცია	.151**	.361**	.313**	.304**	.348**
ობსესიურ-კომპულსიური სიმპტომები	.226**	.298**	.294**	.377**	.367**
პიროვნებათშორისი სენზიტიურობა	.169**	.305**	.298**	.339**	.341**
დეპრესია	.163**	.300**	.313**	.319**	.337**
შფოთვა	.195**	.348**	.356**	.361**	.388**
მტრობა	.136**	.351**	.337**	.318**	.351**
ფობიური შფოთვა	.145**	.388**	.356**	.341**	.378**
პარანოიალური ტენდენციები	.243**	.362**	.340**	.373**	.408**



ფსიქოტიზმი	.157**	.405**	.366**	.341**	.391**
სიმძიმის ინდექსი	.202**	.382**	.366**	.388**	.412**

შენიშვნა: \*\* p<0.001.

### შედეგების განხილვა

უამრავი უპირატესობის მიუხედავად, ციფრულმა ტექნოლოგიებმა და, კერძოდ, მობილურმა ტელეფონმა შეუქცევადად შეცვალა ადამიანთა შორის ურთიერთობა. ყოველთვის ხელმისაწვდომი და მუდმივი კავშირის უზრუნველყოფი მობილური ტელეფონის საყოველთაო გავრცელებამ შექმნა ნიადაგი კიდევ ერთი სახის პრობლემური ქცევის, ფაზინგის, განსავითარებლად, რომელიც უარყოფითად აისახება რეალურ, პირად ურთიერთობაზე (David & Roberts, 2017). წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ზოგადი ფაზინგის სკალის (GSP) ქართული ვერსიის შემუშავება, მისი ფაქტორული სტრუქტურისა და ფსიქომეტრული მაჩვენებლების შეფასება. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ კითხვარის ქართული ვერსია მთლიანად ემთხვევა ორიგინალს – როგორც ფაქტორული სტრუქტურის, ისევე თითოეულ ქვესკალაში შესავალი პუნქტების მიხედვით. ორიგინალის მსგავსად, დადასტურდა კონსტრუქტის ვალიდურობა; ქართული ვერსიაც ხასიათდება საუკეთესო გარე და შიდა კონვერგენტული ვალიდურობითა და სანდოობით. შესაბამისად, ეს გვამღებებს უფლებას გავიმეორეთ სკალის ავტორთა დასკვნა: „შესაძლებელია ზოგადი ფაზინგის სკალის (GSP) გამოყენება სოციალური ურთიერთქმედებისას უნიკალური ფაზინგის ქცევის საზომი ინსტრუმენტის სახით“ (Chotpitayasunondh & Douglas, 2018, გვ. 36).

ამასთანავე, გამოიკვეთა ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავება ორიგინალსა და ქართულ ვერსიას შორის: სკალის მთლიანი მოდელის თანახმად, როგორც ორიგინალის, ისე ქართული ვერსიის შემთხვევაში ფაზინგის ქცევაში ყველაზე მაღალი წილი შეაქვს „თვითიზოლაციის“ განზომილებას (0.90 და 0.91 შესაბამისად), მაგრამ ორიგინალის შემთხვევაში ასეთივე ფაქტორული წონით (0.90) წარმოდგენილია ფაქტორი „პრობლემის აღიარება“, რომელიც ქართულ ვერსიაში მხოლოდ მესამე ადგილზეა (0.85).

მიღებულმა შედეგმა დაადასტურა ფაზინგის ქცევის შესწავლის აუცილებლობა, როგორც თვითიზოლაციისა და ინტერპერსონალური კონფლიქტისკენ (მეორე ფაქტორი) მიმავალი გზისა. ამ აუცილებლობას კიდევ უფრო ამდაფრებს ის ფაქტი, რომ უცხოეთში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ დაადასტურა საკმაოდ მაღალი დადებითი კავშირი ფსიქოლოგიური დისტრესის სიმპტომებთან. ამ მხრივ, სავარაუდოდ, კროს-კულტურული განსხვავება არ აღინიშნება – ქართველ მონაწილეთა შერჩევაზეც გამოვლინდა ფაზინგის საკმაოდ ძლიერი კორელაცია ფსიქოლოგიური დისტრესის უკლებლივ ყველა პირველად სიმპტომთან. ასეთი შედეგი გასაკვირი სულაც არ არის: პრობლემური ციფრული ქცევა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემად ჯერ კიდევ 2014 წელს აღიარა (World Health Organisation, 2014). ვფიქრობთ, რომ ფაზინგის ქცევის ვალიდური და სანდო საზომი სკალის არსებობა ხელს შეუწყობს ამ შედარებით ახალი, მაგრამ უკვე ლამის ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულ ატრიბუტად ქცეული მოვლენის შესწავლას ქართული რეალობის შემთხვევაში.

### შეზღუდვები



წინამდებარე კვლევა კროს-სექციულია, ამიტომ შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეტურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ლაპარაკი. კვლევაში ჩართული იყო მხოლოდ ახალგაზრდები, ამიტომ მიღებული შედეგების განზოგადება სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე სათანადო შემოწმების გარეშე არ შეიძლება. გენდერული ინვარიანტულობა ორიგინალის ავტორებს არ შეუმოწმებიათ. ამის გაკეთება ვერც ჩვენი კვლევის შემთხვევაში მოხერხდა: დიდი მოცულობის მიუხედავად, ჩვენმა შერჩევამ ამ საკითხის შესწავლის საშუალებას არ მოგვცა, ვინაიდან მონაწილეთა 78% ქალია. ამიტომ მომავალი კვლევებით სასურველია ტესტის ქართული ვერსიის გენდერული და ასაკობრივი ინვარიანტულობის შემოწმება.

### დასკვნა

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფაბინგის ტესტის (GSP) ქართული ვერსია შეიძლება მიჩნეულ იქნეს სანდო და ვალიდურ ფსიქომეტრულ ინსტრუმენტად. მისი გამოყენება შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის. სკალა ოთხ ფაქტორს შეიცავს. სკალის პირველი ფაქტორი – „თვითიზოლაცია“ (ოთხი პუნქტი) ზომავს ტელეფონის მოხმარებას რეალობისაგან გაქცევისა და სხვებისგან იზოლაციის მიზნით. მეორე განზომილება – „პიროვნებათშორისი კონფლიქტი“ (ოთხი პუნქტი) სხვებთან აღქმულ კონფლიქტს ეხება. მესამე ფაქტორი – „პრობლემის აღიარება“ შეიცავს სამ პუნქტს და ფაბინგის პრობლემის აღიარებას ზომავს. დაბოლოს, მეოთხე ფაქტორი – „ნომოფობია“ ოთხ პუნქტს შეიცავს და ასახავს მობილური ტელეფონის გარეშე დარჩენის შიშს. გათვალისწინებულია სკალის საერთო მაჩვენებლის გამოთვლაც, რომელიც გამოხატავს ფაბინგის ქცევის ინტენსივობას.

**შენიშვნა:** კითხვარის მისაღებად ([უსასყიდლოდ](#)) დაუკავშირდით ერთ-ერთ ავტორს.

## REFERENCES

- Aagaard, J. (2020). Digital akrasia: a qualitative study of phubbing. *AI & Society*, 35 , 237–244. <https://doi.org/10.1007/s00146-019-00876-0>.
- Allred, R. J., & Crowley, J. P. (2017). The “mere presence” hypothesis: Investigating the nonverbal effects of cell-phone presence on conversation satisfaction. *Communication Studies*, 68, 22-36. <https://doi.org/10.1080/10510974.2016.1241292>.
- Al-Saggaf, Y., & O'Donnell, S. B. (2019). Phubbing: Perceptions, reasons behind, predictors, and impacts. *Human Behavior and Emerging Technologies*, 1(2), 132–140. <https://doi.org/10.1002/hbe2.137>.
- Arenz, A., & Schnauber-Stockmann, A. (2023). Who “Phubs”? A Systematic Meta-Analytic Review of Phubbing Predictors. *Mobile Media & Communication*, <https://doi.org/10.1177/20501579231215678>.
- Assunção, R. S., & Matos, P. M. (2017). The generalized problematic internet use scale 2: Validation and test of the model to Facebook use. *Journal of Adolescence*, 54, 51–59.
- Balta, S., Emirtekin, E., Kircaburun, K., & Griffiths, M. (2020). Neuroticism, trait fear of missing out, and phubbing: the mediating role of state fear of missing out and problematic Instagram use. *Int. J. Ment. Health Addiction*, 628–639. <https://doi.org/10.1007/s11469-018-9959-8>.
- Barbed-Castrejón, N., Navaridas-Nalda, F., Mason, O., & Ortuño-Sierra, J. (2024). Prevalence of phubbing behaviour in school and university students in Spain. *Front Psychol.* 28, 15:1396863. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2024.1396863>.

- Bebermeier, S., & Haaß, V. (2023). Validierung der deutschsprachigen Versionen der Generic Scale of Phubbing (GSP) und der Generic Scale of Being Phubbed (GSBP). *MedienPädagogik (Occasional Papers)*, 139–161. <https://doi.org/10.21240/mpaed/00/2023.06.02.X>.
- Beukeboom, C. J., & Pollmann, M. (2021). Partner phubbing: Why using your phone during interactions with your partner can be detrimental for your relationship. *Computers in Human Behavior*, 124, 106932. <https://doi.org/10.1016/j.chb.2021.106932>.
- Bitar, Z., Akel, M., Salameh, P., Obeid, S., & Hallit, S. (2023). Phubbing among Lebanese young adults: Scale validation and association with mental health (depression, anxiety, and stress). *Curr Psychol* 42, 19709–19720. <https://doi.org/10.1007/s12144-022-03>.
- Blanca, M., & Bendayan, R. (2018). Spanish version of the Phubbing Scale: Internet addiction, Facebook intrusion, and fear of missing out as correlates. *Psicothema* 30 (4), 449–454. <https://doi.org/10.7334/psicothema2018.153>.
- Braune-Krickau, K., Schneebeli, L., Pehlke-Milde, J., Gemperle, M., K. R., & von Wyl, A. (2021). Smartphones in the nursery: Parental smartphone use and parental sensitivity and responsiveness within parent-child interaction in early childhood (0-5 years): A scoping review. *Infant Ment Health J.*, 42(2), 161-175. <https://doi.org/10.1002/imhj.21908>.
- Byrne, B. M. (2013). *Structural Equation Modeling with AMOS (2th ed.)*. Taylor & Francis.
- Capilla Garrido, E., Issa, T., Gutiérrez, E. P., Esteban, P. G., & Delgado, S. C. (2021). A descriptive literature review of phubbing behaviors. *Heliyon* , 7(5), e07037. <https://doi.org/10.1016/j.heliyon.2021.e0703>.
- Caplan, S. E. (2010). Theory and measurement of generalized problematic Internet use: A two-step approach. *Computers in Human Behavior*, 25, 1089-1097.
- Caplan, S. E., & Courtright, J. A. (2019). Don't pick up that phone (or you'll be sorry): Mobile device use and presence on in-person conversations. *National Communication Association Conference*. Baltimore, MD.
- Chotpitayasunondh, V., & Douglas, K. M. (2016). How “phubbing” becomes the norm: The antecedents and consequences of snubbing via smartphone. *Computers in Human Behavior, Volume 63*, 9-18. <https://doi.org/10.1016/j.chb.2016.05.018>.
- Chotpitayasunondh, V., & Douglas, K. M. (2018). Measuring phone snubbing behavior: Development and validation of the Generic Scale of Phubbing (GSP) and the Generic Scale of Being Phubbed (GSBP). *Computers in Human Behavior*, 88, 5–17. <https://doi.org/10.1016/j.chb.2018.06.020>.
- Chotpitayasunondh, V., & Douglas, K. M. (2018). The effects of “phubbing” on social interaction. *Journal of Applied Social Psychology*, 48(6), 304-316. <https://doi.org/10.1111/jasp.12506>.
- Çikrikci, Ö., Griffiths, M., & Erzen, E. (2022). Testing the Mediating Role of Phubbing in the Relationship Between the Big Five Personality Traits and Satisfaction with Life. *Int J Ment Health Addiction* 20, 44–56 (2022). <https://doi.org/10.1007/s11469-019-00115-z>.
- Cizmeci, E. (2017). Disconnected, though satisfied: phubbing behavior and relationship satisfaction . *Turk. Online J. Design Art Commun.* 7 (2), 364–375. <https://doi.org/10.7456/10702100/018>.
- Courtright, J., & Caplan, S. (2020). A Meta-Analysis of Mobile Phone Use and Presence. *Human Communication & Technology*, 1(2), 20-35. <https://doi.org/10.17161/hct.v1i2.13412>.
- Crowley, J. P., Allred, R. F., & Volkmer, C. (2018). Replication of the mere presence hypothesis: The effects of cell phones on face-to-face conversations. *Communication Studies*, 69:3, 283-293. <https://doi:10.1080/10510974.2018.1467941>.
- Davey, S., Davey, A., Raghav, S. K., Singh, J. V., Singh, N., Blachnio, A., & Przepiórkaa, A. (2018). Predictors and consequences of “Phubbing” among adolescents and youth in India: An impact

- evaluation study. *Journal of Family & Community Medicine*, 25(1), 35–42. [https://doi.org/10.4103/jfcm.JFCM\\_71\\_17](https://doi.org/10.4103/jfcm.JFCM_71_17).
- David, M. E., & Roberts, J. A. (2017). Phubbed and Alone: Phone Snubbing, Social Exclusion, and Attachment to Social Media. *Journal of the Association for Consumer Research*, 2(2), 155-163. <https://doi.org/10.1086/690940>.
- David, M. E., & Roberts, J. A. (2020). Developing and testing a scale designed to measure perceived phubbing. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 17(21), e8152. <https://doi.org/10.3390/ijerph17218152>.
- Derogatis, L. R., & Melisaratos, N. (1983). The Brief Symptom Inventory: An introductory report. *Psychological Medicine*, 13, 595–605.
- Diener, E., Emmons, R. A., Larsen, R. J., & Griffin, S. (1985). The satisfaction with life scale. *Journal of Personality Assessment*, 49(1), 71–75.
- Ergün, N., Göksu, İ., & Sakız, H. (2019). Effects of Phubbing: Relationships With Psychodemographic Variables. *Psychological Reports*, 123(5), 1578-1613. <https://doi.org/10.1177/0033294119889581>.
- Erzen, E., Odacı, H., & Yeniçeri, İ. (2021). Phubbing: Which personality traits are prone to phubbing? *Social Science Computer Review*, 39(1), 56–69. <https://doi.org/10.1177/0894439319847415>.
- Esfahani, M. H., Khanjani, M., & Bazram, A. (2022). The factor Structure and psychometric properties of Generic Scale of Phubbing (GSP). *Educational Measurement*, 12(46), 7-26, <https://doi.org/10.22054/jem.2022.64299.3313>.
- Field, A. (2013). *Discovering statistics using IBM SPSS statistics (4th ed.)*. London: SAGE Publications.
- Field, T. (2024). Phubbing: a narrative review. *J Psychol Clin Psychiatry*, 15(5), 274–280. <https://doi.org/10.15406/jpcpy.2024.15.00792>.
- Fornell, C., & Larcker, D. (1981). Evaluating structural equation models with unobservable variables and measurement error. *Journal of Marketing Research*. Vol. 18. № 1.P., 39–50.
- Frackowiak, M., Hilpert, P., & Russell, P. S. (2024). Impact of partner phubbing on negative emotions: A daily diary study of mitigating factors. *Current Psychology*, 43(2), 1835–1854. <https://doi.org/10.1007/s12144-023-04401-x>.
- Frackowiak, M., Ochs, C., Wolfers, L., & Vanden Abeele, M. (2024). Commentary: Technoference or parental phubbing? A call for greater conceptual and operational clarity of parental smartphone use around children. *J Child Psychol Psychiatry*, 65(8), 1108-1114. <https://doi.org/10.1111/jcpp.13917>.
- Gámez-Guadix, M., Orue, & Calvete, E. (2013). Evaluation of the cognitive-behavioral model of generalized and problematic Internet use in Spanish adolescents. *Psicothema*, Vol. 25, No. 3, 299-306.
- Gámez-Guadix, M., Villa-George, F., & Calvete, E. (2012). Measurement and analysis of the cognitive behavioral model of generalized problematic Internet use among Mexican adolescents. *Journal of Adolescence*, 35, 1581-1591.
- Gavcar, E., Buber, A., Balkis, M., & Simsek, C. (2023). The psychometric properties of the general phubbing scale in adolescents. *Pamukkale Medical Journal*, 16(3), 392-403. <https://dx.doi.org/10.31362/patd.1232372>.
- George, D., & Mallery, P. (2016). *IBM SPSS Statistics 23 step by step: A simple guide and reference*. New York: NY: Routledge.
- Gergen, K. J. (2002). The challenge of absent presence. B. J. E. (Eds.), *Perpetual contact: Mobile communication, private talk, public performance* (pp. 227–241). Cambridge, UK: Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9780511489471.018>.

- Guazzini, A., Duradoni, M., Capelli, A., & Meringolo, P. (2019). An explorative model to assess individuals' phubbing risk. *Future Internet*, *11*(1), 1-13. <https://doi.org/10.3390/fi11010021>.
- Halpern, D., & Katz, J. E. (2017). Texting's consequences for romantic relationships: A cross-lagged analysis highlights its risks. *Computers in Human Behavior*, *71*, 386–394. <https://doi.org/10.1016/j.chb.2017.01.051>.
- Hood, R., Zabatiero, J., Zubrick, S., Silva, D., & Straker, L. (2021). The association of mobile touch screen device use with parent-child attachment: A systematic review. *Ergonomics*, *64*, 1606–1622. <https://doi.org/10.1080/00140139.2021.1948617>.
- Huang, C. (2022). A meta-analysis of the problematic social media use and mental health. *The International Journal of Social Psychiatry*, *68*(1), 12–33. <https://doi.org/10.1177/0020764020978434>.
- Isrofin, B. (2020). Validasi Generic Scale Of Phubbing (GSP) Versie Bahasa Indonesia Dengan Rasch Model. *Nusantara of Research*, *7*(1), 9-18. <https://doi.org/10.29407/nor.v7i1.13883>.
- Izquierdo, I., Olea, J., & Abad, F. J. (2014). Exploratory factor analysis in validation studies: Uses and recommendations. *Psicothema*, *26*, 395-400.
- Jouty, S. A., Molla, M. M., & Othman, S. H. (2024). 7th International Conference on Internet Applications, Protocols, and Services (NETAPPS). *Evaluating Phubbing Risk Among University Students Through a Cyberpsychology Model Approach*, (ctp. <https://doi.org/10.1109/NETAPPS63333.2024.10823595>). Kuala Lumpur, Malaysia.
- Jouty, S. A., Molla, M. M., & Othman, S. H. (2024). Evaluating Phubbing Risk Among University Students Through a Cyberpsychology Model Approach. *7th International Conference on Internet Applications, Protocols, and Services (NETAPPS)* (ctp. 1-8). Kuala Lumpur, Malays: <https://doi.org/10.1109/NETAPPS63333.2024.10823595>.
- Karadağ, E., Tosuntaş, Ş., Erzen, E., Duru, P., Bostan, N., . . . Babadağ, B. (2016). The Virtual World's Current Addiction: Phubbing. *Addicta: The Turkish Journal On Addictions*, *3*(2) , 250-269. <https://doi.org/10.15805/addicta.2016.3.0013> .
- Karadağ, E., Tosuntaş, Ş., Erzen, E., Duru, P., Bostan, N., Şahin, B. M., . . . Babadağ, B. (2015). Determinants of phubbing, which is the sum of many virtual addictions: A structural equation model. *Journal of Behavioral Addictions*. *Vol. 4* (2), 60-74. <https://doi.org/10.1556/2006.4.2015.005>.
- Kardefelt-Winther, D. (2014). A conceptual and methodological critique of internet addiction research: Towards a model of compensatory internet use. *Computers in Human Behavior*, *31*, 351–354. <https://doi.org/10.1016/j.chb.2013.10.059>.
- Kavčič, T., Levpušček, M. P., Zupančič, M., Poredoš, M., & Bjornsen, C. (2019). Personal correlates of problematic types of social media and mobile phone use in emerging adults . *Human Technology*, *15*(2), 256–278. <https://doi.org/10.17011/ht/urn.201906123158>.
- Kaya, A., Şata, M., Türk, N., Özok, H. I., & Yıldırım, M. (2024). Reliability and Validity of Short-Form Generic Scale of Being Phubbed and Phubbing Among Turkish Adolescents and Young Adults. *Journal of Technology in Behavioral Science*, <https://doi.org/10.1007/s41347-024-00428-4>.
- Khan, M. N., Shahzad, K., & Bartels, J. (2022). Examining boss phubbing and employee outcomes through the lens of affective events theory. *Aslib Journal of Information Management*, *74*(5), 877-900. <https://doi.org/10.1108/AJIM-07-2021-0198>.
- Kline, P. (2015). *A Handbook of Test Construction (Psychology Revivals)*. London: Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315695990>.
- Kline, R. B. (2016). *Principles and practice of structural equation modeling (4th ed.)*. New York: Guilford Press.

- Laconi, S., Kaliszewska-Czeremska, K., Tricard, N., & Chabrol, H. K. (2018). The Generalized Problematic Internet Use Scale-2 in a French sample: Psychometric evaluation of the theoretical model. *L'Encéphale, Volume 44, Issue 3*, 192-199.
- Li, Y. (2023). Validation and Short-Form Development of the Generic Scale of Being Phubbed and Phubbing and Relationship Between Being Phubbed and Phubbing in Chinese Adolescents. *Curr Psychol* 42, 21424–21434. <https://doi.org/10.1007/s12144-022-03222-8>.
- Linares, C., & Sellier, A.-L. (2021). How bad is the mere presence of a phone? A replication of Przybylski and Weinstein (2013) and an extension to creativity. *PLoS ONE, 16(6)*, Article e0251451. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0251451>.
- McDaniel, B. T. (2019). Parent distraction with phones, reasons for use, and impacts on parenting and child outcomes: A review of the emerging research. *Human Behavior and Emerging Technologies, 1(2)*, 72–80. <https://doi.org/10.1002/hbe2.139>.
- McDaniel, B. T., & Coyne, S. M. (2016). “Technoference”: The interference of technology in couple relationships and implications for women’s personal and relational well-being. *Psychology of Popular Media Culture, 5(1)*, 85–98. <https://doi.org/10.1037/ppm0000065>.
- McDaniel, B. T., & Drouin, M. (2019). Daily technology interruptions and emotional and relational well-being. *Computers in Human Behavior, Volume 99*, 1-8. <https://doi.org/10.1016/j.chb.2019.04.027>.
- McDaniel, B., & Wesselmann, E. (2021). «You phubbed me for that?» Reason given for phubbing and perceptions of interactional quality and exclusion. *Human Behavior and Emerging Technologies, Vol. 3(3)*, 413-422. <https://doi.org/10.1002/hbe2.255>.
- Misra, S., Cheng, L., Genevie, J., & Yuan, M. (2016). The iPhone effect: The quality of in-person social interactions in the presence of mobile devices. *Environment and Behavior, 48*, 275-298. <https://doi.org/10.1177/0013916514539755>.
- Moretta, T., & Buodo, G. (2018). Modeling Problematic Facebook Use: Highlighting the role of mood regulation and preference for online social interaction. *Addict Behav., 87*, 214-221.
- Nazir, T., & Bulut, S. (2019). Phubbing and What Could Be Its Determinants: A Dugout of Literature. *Psychology, 10*, 819-829. <https://doi.org/10.4236/psych.2019.106053>.
- Nazir, T., & Pişkin, M. (2016). Phubbing: A Technological Invasion Which Connected the World but Disconnected Humans. *International Journal of Indian Psychology, 3*, 39-46. <https://doi.org/10.25215/0304.195>.
- Nuñez, T. R., & Radtke, T. (2023). Is socially disruptive smartphone use detrimental to wellbeing? A systematic meta-analytic review on being phubbed. *Behaviour & Information Technology. Advance online publication*, <https://doi.org/10.1080/0144929X.2023.2209213>.
- Pathak, S. (2013). *McCann Melbourne Made up a Word to Sell a Print Dictionary: New Campaign for Macquarie Birthed “Phubbing”*. Получено из <http://adage.com/article/news/mccann-melbourne-made-a-word-sell-a-dictionary/244595>
- Pontes, H. M., Caplan, S. E., & Griffiths, M. D. (2016). Psychometric validation of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 in a Portuguese sample. *Computers in Human Behavior, vol. 63*, 823-833.
- Przybylski, A. K., & Weinstein, N. (2013). Can you connect with me now? How the presence of mobile communication technology influences face-to-face conversation quality. *Journal of Social and Personal Relationships, 30(3)*, 237-246. <https://doi.org/10.1177/0265407512453827>.
- Purwar, N., Chauha, A., Pawaiya, A. S., Tyagi, N., Mahajan, H., & Srivastava, S. (2023). Phubbing Phenomenon and its Determinants among Medical College Students in Greater Noida: A Cross-sectional Study. *Journal of Clinical and Diagnostic Research, Vol-17(5)*, LC01-LC06.

- Roberts, J., & David, M. (2017). Put down your phone and listen to me: how boss phubbing undermines the psychological conditions necessary for employee engagement. *Computers in Human Behavior*, 75, 206–217. <https://doi.org/10.1016/j.chb.2017.05.021>.
- Roberts, J., & David, M. E. (2016). My life has become a major distraction from my cell phone: Partner phubbing and relationship satisfaction among romantic partners. *Computers in Human Behavior*. Volume 54, 134-141. <https://doi.org/10.1016/j.chb.2015.07.058>.
- Ruiz, M. J., Herruzo, C., & Alcañiz-Colomer, J. (2024). Psychometric properties of the Spanish adaptation of the General Phubbing Scale. *Revista Latinoamericana de Psicología (2024)* 56, 64-717, 64-71. <https://doi.org/10.14349/rlp.2024.v56.7>.
- Seo, M., Kim, J. H., & David, P. (2015). Always connected or always distracted? ADHD symptoms and social assurance explain problematic use of mobile phone and multicomputing. *Journal of Computer-Mediated Communication*, 20(6), 667–681. <https://doi:10.1111/jcc4.12140>.
- Sette, C., Lima, N., & Queluz, F. e. (2020). The Online Fear of Missing Out Inventory (ON-FoMO): Development and Validation of a New Tool. *J. technol. behav. sci.* 5, 20–29. <https://doi.org/10.1007/s41347-019-00110-0>.
- Shahzadi, K., Ashraf, N., & Tariq, A. (2024). Exploring the Dark Side of Connectivity: A Review of Phubbing Literature. *Pakistan Languages and Humanities Review*, 8(2), 124–137. [https://doi.org/10.47205/plhr.2024\(8-II\)12](https://doi.org/10.47205/plhr.2024(8-II)12).
- Sun, J., & Samp, J. A. (2022). ‘Phubbing is happening to you’: Examining predictors and effects of phubbing behaviour in friendships. *Behaviour & Information Technology*, 41(12), 2691–2704. <https://doi.org/10.1080/0144929X.2021.1943711>.
- T’ng, S. T., Ho, K. H., & Low, S. K. (2018). Are you “phubbing” me? The determinants of phubbing behavior and assessment of measurement invariance across sex differences. *International and Multidisciplinary Journal of Social Sciences*, 7(2), 159–190. <https://doi.org/10.17583/rimcis.2018.3318>.
- Talan, T., Doğan, Y., & Kalinkara, Y. (2023). Effects of Smartphone Addiction, Social Media Addiction and Fear of Missing Out on University Students’ Phubbing: A Structural Equation Model. *Deviant Behavior*, 45(1), 1–14. <https://doi.org/10.1080/01639625.2023.2235870>.
- Tufan, C., Köksal, K., Griffiths, M. D., Erturgut, R., & Mert, İ. S. (2024). Effects of fear of missing out, smartphone addiction, phubbing, and being phubbed on friendship satisfaction. *Behaviour & Information Technology*, 1–17. <https://doi.org/10.1080/0144929X.2024.2434893>.
- Vanden Abeele, M. M., & Postma-Nilsenova, M. (2018). More Than Just Gaze: An Experimental Vignette Study Examining How Phone-Gazing and Newspaper-Gazing and Phubbing-While-Speaking and Phubbing-While-Listening Compare in Their Effect on Affiliation. *Communication Research Reports*, 1-11. <https://doi.org/10.1080/08824096.2018.149291>.
- Vanden Abeele, M. M., Antheunis, M. L., & Schouten, A. P. (2016). The effect of mobile messaging during a conversation on impression formation and interaction quality. *Computers in Human Behavior*, 62, 562–569. <https://doi.org/10.1016/j.chb.2016.04.005>.
- Vanden Abeele, M., Hendrickson, A., Pollmann, M., & Ling, R. (2019). Phubbing behavior in conversations and its relation to perceived conversation intimacy and distraction: An exploratory observation study. *Computers in Human Behavior*. Vol. 100., 35-47. <https://doi.org/10.1016/j.chb.2019.06.004>.
- Wolfers, L. N., & Schneider, F. M. (2021). Using media for coping: A scoping review. *Communication Research*, 48(8), 1210–1234. <https://doi.org/10.1177/0093650220939778>.
- World Health Organisation. (2014). WHO (2014). Public health implications of excessive use of the Internet, computers, smartphones and similar electronic devices.

- Yam, F. C., & Kumcağız, H. (2020). Adaptation of general phubbing scale to Turkish culture and investigation of phubbing levels of university students in terms of various variables. *Addicta: The Turkish Journal on Addictions*, 7(1), 48-60. <https://doi.org/10.5152/addicta.2020.19061>.
- Yasin, R. M., Bashir, S., Vanden Abeele, M., & Bartels, J. (2020). Supervisor phubbing phenomenon in organizations: determinants and impacts. *Int. J. Bus. Commun.*, 60(1), 2329488420907120. <https://doi.org/10.1177/2329488420907120>.
- ზუბაშვილი, ა. (2022). სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების პრედიქტორები ახალგაზრდებს შორის. კავკასიის უნივერსიტეტი: სამაგისტრო ნაშრომი.
- ზუბაშვილი, ა., აბაშიძე, თ., ჟვანია, ი. (2024). სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების კითხვარის ფაქტორული სტრუქტურის შეფასება ახალგაზრდების შერჩევაზე. *საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“*.
- ჩომახიძე, ე., კოპალიანი, კ., & ზუბაშვილი, ა. (2023). სიმპტომატური კითხვარისა და მისი მოკლე ფორმების ფსიქომეტრული ანალიზი ახალგაზრდების შერჩევაზე. *ბიზნესი და კანონმდებლობა*, 16(3), 25-37. 61-73. <https://doi.org/10.52340/bal/2023.03.04>.